საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 234 (513) პარასკევი, 13 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი.

წუხელ შეიტყვეთ

აღდგენილია ელექტროგადამცემი ხაზი

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა „საქენერგოს" უფროსის პირველმა მოადგილემ ზურო აბაშიძემ, ენერგეტიკოსთა ძალისხმევით 11 ნოემბერს 16 საათისათვის აღდგენილი იყო ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სოხუმის ჰიდროელექტროსადგურს უკავშირებს ქალაქს. ამიერიდან ყოველდღიურად, თუ, რა თქმა უნდა, ამ ობიექტზე კვლავ არ მოხდება დივერსიული აქტები, სოხუმს მიაწვდიან სამი ნეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას, რაც უზრუნველყოფს პურის ქარხნების, წყალმომარაგების სისტემის, ქალაქის საავადმყოფოების, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბის მუშაობას. სულ კი სოხუმს, ზამთრის პირობებისა და იმის გათვალისწინებით, რომ არ არის გათბობა, განსაკუთრებით საღამოს საათებში, სჭირდება 30 მეგავატი ელექტროენერგია.

ზ. აბაშიძემ ისიც თქვა, რომ ბათუმიდან სოხუმში გაიგზავნა სამი დიზელ-გენერატორი, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 200 კილოვატია. ამავე დროს, მისი აზრით, სრულდება ენერგეტიკის ობიექტებზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული დადგენილება.

დასავლეთ საქართველოში ბანდიტურ ფორმირებათა მოქმედების გამო საქართველოს ენერგეტიკოსებს კვლავ არა აქვთ შესაძლებლობა შეუდგნენ აღდგენით სამუშაოებს იმ ელექტროგადამცემ ხაზზე, რომელიც ენგურის ჰიდროელექტროსადგურს უკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს.

თენგიზ ჩხიკვაძე.

◆

ფქვილი იტალიიდან

ბათუმსა და ფოთში იტალიიდან ჩამოვიდა ფქვილით დატვირთული ორი ხომალდი. საერთო ანგარიშით მათ ჩამოიტანეს 12 ათასი ტონა დეფიციტური პროდუქტი. ახლა მიმდინარეობს მათი განტვირთვა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტმა შეიტყო, გზაშია კიდევ ერთი ფქვილით დატვირთული გემი, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს მონაცემები, თუ როდის უნდა შემოვიდეს საქართველოში.

ამავე დროს, — გვითხრა პურპროდუქტების რესპუბლიკური გაერთიანების უფროსის პირველმა მოადგილემ ლონგინოზ ზაქაიძემ, — ბათუმსა და ფოთში მიმდინარეობს იმ გემების განტვირთვა, რომლებმაც ჩამოიტანეს მარცვლეული ამერიკიდან, მაგრამ ეს ძალზე ნელი ტემპით ხდება. ამას აქვს ორი ხელისშემშლელი ფაქტორი. ავდართან ერთად სამუშაოთა ორგანიზაციის დონეც მოისუსტებს. ადგილებზე მეტი ორგანიზებულობა უნდა გამოვიჩინოთ, თორემ ჯარიმის გადახდა მოგვიწევს.

ამჟამად, აღნიშნა ლ. ზაქაიძემ, ჩვენი მარაგი ასეთია: სამი ათასი ტონა მარცვლეული. ეს ბევრი არ არის. ველით 20 ათას ტონა მარცვლეულს ყაზახეთიდან, საიდანაც ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერი დაპირება მივიღეთ.

„ვეწვიეთ მეგობრებს, ისინი ნამდვილი გმირები არიან, რომლებიც იცავენ საქართველოს თავისუფლებასა და მთლიანობას"

ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთში

— ყოველ ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ საქართველო გამოვიყვანოთ კრიზისიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 11 ნოემბერს საღამოს სოხუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. იგი ჩამოვიდა აფხაზეთში, რათა ადგილზე გასცნობოდა აქ შექმნილ ვითარებას, გასაუბრებოდა მეომრებს, შეხვედროდა მოსახლეობას და საზოგადოებრიობას.

ქალაქი გაჭირვებაშია. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ ომია. ამას ნათლად მოწმობს მისი იერსახე. ქუჩებში იშვიათად თუ დაინახავთ ავტომანქანებს, ხალხი გარეთ არ გამოდის, გამოდიან, მაგალითად, პურის საშოვნელად. პურის ქარხნებთან დიდძალი ხალხია, მაღაზიებში ხომ საჭიროა მისი მიტანა, ამისთვის კი ბენზინი არ არის. მთელი უკანასკნელი კვირის მანძილზე არ არის ელექტრობაც და, მაშასადამე, წყალიც. ამიტომაც პური ქალაქში თვითმფრინავებით ჩამოაქვთ თბილისიდან დღეში 5-7 ტონა. და იმის მიუხედავად, რომ სოხუმი სანახევროდ დაცლილია, ეს სულაც არ არის საკმარისი.

ომია. ქალაქს მიზანდასახულად ბომბავენ, ჭურვები სკოლების, საავადმყოფოებისა და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ფეთქდება. ყოველ დღეს მსხვერპლი მოაქვს, იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა. პერიოდულად ცდილობენ ქალაქში შეღწევას, როგორც ეს ერთი კვირის წინათ იყო სოფელ შრომის რაიონში, სოხუმიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით, სადაც მოიგერიეს სეპარატისტთა და დაქირავებულ გადამთიელთა გააფთრებული იერიში.

თავად სოხუმში სიმშვიდე არ არის. მის სხვადასხვა კუთხეში გაისმის სროლა, ძარცვავენ მოსახლეობას, იტაცებენ ავტომანქანებს. ამას კი ხსნიან ხელისუფლების, არა მარტო სისუსტით, არამედ იმითაც, რომ პრაქტიკულად არ არის ხელისუფლება, რადგან როცა რამდენიმე კაცი განკარგულებას იძლევა, მაშასადამე, მისი შემსრულებელი არავინ არის. ამიტომ შეხვედრაზე გამოითქვა ერთსულოვანი აზრი, რომ აფხაზეთში, კერძოდ სოხუმში დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას აღმასრულებელი სტრუქტურები, რომლებსაც მთელი ძალაუფლება მიენიჭებათ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ქალაქში დამყარდეს წესრიგი, კონტროლს დაექვემდებაროს ვითარება.

ქალაქში ნორმალური ცხოვრების მოგვარებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სურსათით მოსახლეობის მომარაგებას. სოხუმელებს, სულაც არ სურთ მთლიანად იყვნენ რესპუბლიკის ხარჯზე. გვაქვს შესაძლებლობა ნაწილობრივ მაინც უზრუნველვყოთ საკუთარი თავი, განაცხადეს შეხვედრაზე. საჭიროა, ჩვენთან ჩამოვიდეს პრემიერ-მინისტრი და საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად გამოიანგარიშოს რის გაკეთება შეგვიძლია.

დიდი ყურადღება დაეთმო შეხვედრაზე სამხედრო მშენებლობას. ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ უახლოეს დღეებში დამთავრდება საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ფორმირება. იგი შეიმუშავებს უახლოეს ხანში ერთიანი ჯარის შექმნის ღონისძიებებს, რომელიც ერთ სარდლობას დაექვემდებარება. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მკაცრი დისციპლინა უნდა დამყარდეს.

მე ყოველგვარი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრე ვარ, მაგრამ ახლა მშვიდობიანი მოწესრიგების შანსი ნაკლებია, ვიდრე 3 სექტემბერს იყო, როცა დაიდო მოსკოვის შეთანხმება. ომის გაგრძელება სრულიადაც არ გვსურს, რადგან საომარი დაპირისპირების ყოველ დღეს ახალი მსხვერპლი, გაჭირვება და ტანჯვა-ვაება, სახელმწიფოს ეკონომიკის ჩანაგება მოაქვს. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გადავწყვიტოთ მშვიდობიანი მოწესრიგების ამოცანები.

ვეწვიეთ მეგობრებს, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ვესაუბრე მათ. ისინი ნამდვილი გმირები არიან, რომლებიც იცავენ საქართველოს თავისუფლებასა და მთლიანობას. თბილისელები და ქუთაისელები, გურჯაანელები და სამტრედიელები, გორელები და ჩოხატაურელები. — საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლები ესწრაფვიან, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფო ერთიანი და მშვიდობიანი, ძლიერი და მდიდარი იყოს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური სოხუმის საზოგადოებრიობას ესაუბრა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვა. აქაური მცხოვრებლები ხომ მოკლებული არიან შესაძლებლობას ნახონ ეს ტელევიზიით იმის გამო, რომ არ არის ელექტრობა, აქ პრაქტიკულად ვერ იღებენ გაზეთებს...

სოხუმი დღეს ფრონტისპირა ქალაქია. მისასვლელებთან საგუშაგოებია, რომლებიც ამოწმებენ საბუთებსა და ავტომანქანებს, ქუჩებში პატრულები დადიან. ქალაქის კომენდანტი მაიორი რევაზ დოლიძე ყოველდღე აწერს ხელს სოხუმიდან გასვლის რამდენიმე ათეულ ნებართვას: ადამიანები, ძირითადად ქალები, მოხუცები და ბავშვები, აქედან მიდიან ნათესავებთან, სხვა ქალაქებსა და სოფლებში, რათა ავბედობას მოერიდონ. ვაჟკაცები კი სამხედროებთან ერთად იცავენ აფხაზეთს, თავიანთ მიწა-წყალს, ქართულ მიწა-წყალს ხელყოფისაგან.

გურამ ჭანიშვილი.

საპარლამენტო ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი

საქართველოს პარლამენტის სხდომიდან

11 ნოემბრის საღამოს სხდომაზე პარლამენტარებმა დაასრულეს საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარეთა კანდიდატურების განხილვა.

12 ნოემბერს დილით, ვიდრე პარლამენტარები შეუდგებოდნენ ხმის მიცემას, პრემიერ-მინისტრს თენგიზ სიგუას, შეკითხვით მიმართა პარლამენტარმა ელდარ შენგელაიამ და სთხოვა, განემარტა პარლამენტისა და მოსახლეობისათვის პურის ფასის მომატებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ბატონმა თენგიზ სიგუამ პარლამენტარებს მოახსენა, რომ რესპუბლიკის მთავრობას თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა 5 ნოემბრისათვის გაეზარდა ფასები პურზე. მაგრამ, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობას, შესაძლოა, არ ჰქონოდა ფულადი რესურსები, გადაწყდა, 11 ნოემბრამდე ავანსის სახით გაცემულიყო ნოემბრის პირველი ნახევრის გაორმაგებული სარგოები. ოთხმოც პროცენტზე მეტმა დაწესებულებამ ეროვნული და სხვა ბანკებიდან გაიტანა გაორმაგებული სარგოები. როგორც ჩანს, მთელ რიგ დაწესებულებებში თავი ვერ მოაბეს ამ საქმეს. დროულად ვერ მოაგვარეს ორგანიზაციული საკითხი. საერთოდ კი ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების გაორმაგების გამო, კომპენსაციების, სხვა სოციალური პრობლემებისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტმა მოითხოვა 6 მილიარდ 100 მილიონი მანეთის დამატება.

შემდეგ გაიმართა დახურული, ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგად აირჩიეს თავმჯდომარეები.

(იხ. დადგენილება ამავე ნომერში).

პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან მიულოცა ახლად არჩეულ კომისიის თავმჯდომარეებს პარლამენტართა ნდობა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს არ იქნება ფორმალური აქტი და ამით პარლამენტი იწყებს სისხლსავსე ცხოვრებას.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტარებს გაუზიარა აფხაზეთში მოგზაურობის ზოგიერთი შთაბეჭდილებანი — ეს იყო ერთდღიანი მივლინება აფხაზეთში, — თქვა მან. — მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრები მოსახლეობასთან, შესაბამისი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობასთან აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მზადდება სერიოზული განხილვა პარლამენტში. როცა პარლამენტმა გამომიცხადა დიდი ნდობა და ამირჩია სახელმწიფოს მეთაურად და დამევალა შევასრულო შეიარაღებული ძალების მხედართმთავრის მოვალეობა, ბუნებრივია, უნდა დამეწყო ამ შეხვედრით. ჩემი პირველი კონტაქტი იყო საჯარისო შენაერთების ხელმძღვანელებთან, რომლებიც ახლა დისლოცირებული არიან აფხაზეთში. ყველაზე უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილება ის არის, რომ მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ, ერთ სისტემაში გაერთიანების პროცესი.

სოხუმში დღის ბოლოს მოეწყო ორსაათიანი შეხვედრა ქალაქის აქტივთან. ეს ცოტა უფრო მძიმე შეხვედრა იყო, რადგან მოსახლეობა ცხოვრობს ურთულეს პირობებში და თუ გამოხატავს უკმაყოფილებას, არა იმდენად იმიტომ, რომ უჭირს, არამედ იმიტომ, რომ პრობლემები შეიძლება არ წარმოშობილიყო, ბევრი სამინისტრო და უწყება რომ მუშაობდეს.

ქალაქში, — აღნიშნა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — სადღაც კონცენტრირებულია ამდენი შეიარაღებული ძალები, პოლიცია, რომელიც კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, მაინც ხდება ძარცვა, მაროდიორობა, ძალადობა. ყველაფერი ეს სასწრაფოდ მოსაგვარებელია. აუცილებელია ჩამოყალიბდეს დროებითი მართვის ეფექტიანი სტრუქტურა, რომლის შემადგენლობაში, როგორც კოორდინატორი, უნდა შევიდეს გოგა ხაინდრავა, რომელიც მთელი ენერგიით მუშაობს. ალბათ, ორი-სამი დღე იქნება საჭირო ასეთი სტრუქტურის შესაქმნელად.

სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება გაამახვილა გადაუდებელი პრობლემების მოგვარებაზე, კერძოდ, საწვავის საკითხზე, და აღნიშნა, რომ აუცილებელია შეიქმნას რეზერვი უპირველესად სამხედრო საჭიროებისათვის. ჩვენ გვაქვს 20-25 ათასი ტონა საკუთარი ნავთი და ვერაფრით ვერ ჩაგვიტანია ბათუმში, რადგან აზიანებენ, ბურღავენ ნავთობსადენებს. ყველაზე მეტად ეს შეიმჩნევა აჭარაში და ზოგ სხვა რაიონში. ეს ბარბაროსობაა და უნდა აღიკვეთოს.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა ზოგიერთ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა მებრძოლების პრეტენზიებს, კერძოდ, ისინი ჩივიან, რომ მიუხედავად კონტრაქტების ვადის გასვლისა, მათ არავინ არ აგრძელებს, ხელფასს ვერ იღებენ იმათი ოჯახები, ვინც იბრძვის. ითქვა ასევე დაჭრილ მეომართა მძიმე მდგომარეობაზე თბილისის საავადმყოფოებში.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ადგილობრივი მოსახლეობის მზადყოფნასა და ერთსულოვნებას დაიცვან სამშობლო. განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა იმ კეთილი ძვრების გამო, რომლებიც სამეგრელოს ყველა რაიონში ხდება. ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მებრძოლთა ახალი ცვლით უზრუნველყოფა, აფხაზეთში მოსავლის აღება და დაბინავება, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის გარდაქმნა საომარი პირობების შესაბამისად, მომავალი მთავრობის კაბინეტის დაკომპლექტება და სხვა.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ რეგლამენტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვას.

სხდომაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა ინფორმაცია ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტთან ბილ კლინტონთან თავისი სატელეფონო საუბრის შესახებ.

პარლამენტის სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ახალი რეალიების ნიადაგზე განვითარდება

საქართველო-რუსეთი: დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა

გადასცა რა 12 ნოემბერს რწმუნების სიგელები საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, 58 წლის ვლადიმერ ზემსკი რუსეთის პირველი ელჩი გახდა საქართველოში. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი-თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოსთან მოლაპარაკებაზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაციის მეთაური, საგანგებო დავალებათა ელჩი კოვალიოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის დელეგაცია. გაიმართა საქმიანი კონსტრუქციული საუბარი, რომელმაც ურთიერთგაგებისა და გულახდილობის ვითარებაში ჩაიარა. განიხილეს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდი ხელშეკრულების მომზადების საკითხები, რომელიც შეიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებს, საქართველოსა და რუსეთს შორის ტრადიციული კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოების საკითხებს.

აღინიშნა, რომ ეს ხელშეკრულება ორი სახელმწიფოს ურთიერთობის პირველი საფუძველი გახდება და საქართველოსა და რუსეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ახალი რეალიების ნიადაგზე განვითარდება.



სურათზე: რუსეთის ფედერაციის დელეგაციის მიღება.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარებისა და სასაზღვრო ნაწილების ყოფნის საკითხს. განიხილეს აგრეთვე ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების დაცვის პრობლემა.

შეეხნენ რა აფხაზეთის კონფლიქტს, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს უმწვავესი პრობლემაა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. მათ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პოლიტიკური მეთოდებით და ცივილიზებულ საფუძველზე მოაგვარონ კონფლიქტი.

იმავე დღეს რუსეთის ფედერაციის დელეგაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიღო ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

რესპუბლიკაში ყოფნის დროს რუსეთის წარმომადგენლები ქართველ კოლეგებთან ერთად განაგრძობენ მუშაობას ყოვლისმომცველ ხელშეკრულებაზე, საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის სხვადასხვა მხარის შესახებ დოკუმენტების პაკეტზე. უახლოეს დღეებში საქართველოში ჩამოვლენ რუსეთის თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების პასუხისმგებელი წარმომადგენლები მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის.

საქინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ზემსკის, რომელიც თბილისში ჩამოსვლამდე კუბის რესპუბლიკაში მუშაობდა, იყო ესპანეთში ყოფილი სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი, მრჩეველ-დესპანი პორტუგალიაში, შემდეგ ანგოლაში, ეკავა პასუხსაგები პოსტები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

— ჩემთვის დიდი პატივია წარმოვადგენდე რუსეთს საქართველოში, — თქვა ბატონმა ვლადიმერ ზემსკიმ. — ჩემს მომავალ საქმიანობაში მთავარ ამოცანად მიმაჩნია მეგობრობის, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის განვითარება, წინსვლა, შექმნა და განმტკიცება, რომლებსაც საფუძვლად დაედება ჩვენი ხალხების მეგობრობის, თანამოქმედების ისტორიულად ღრმა ტრადიციები და კულტურათა სიახლოვე. სამწუხაროდ, ის, რაც ეხება რუსეთისა და საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას, მის სამართლებრივ ბაზას, ჩამორჩა ყოფილი კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. ჩვენი ამოცანაა ავანაზღაუროთ გაცდენილი დრო, შევქმნათ სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა.

შეეხო რა აფხაზეთის კონფლიქტს, ელჩმა აღნიშნა, რომ რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ იგი გადაწყდეს მშვიდობიანი გზით, რათა შევასრულოთ 3 სექტემბერს მიღებული მოსკოვის შეთანხმების ყველა პუნქტი. რუსეთის პრინციპული პოზიცია ის არის, რომ კონფლიქტის მონაწილენი მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და, ბოლოს და ბოლოს, მოაწესრიგონ ეს კონფლიქტი. რუსეთი ძალ-ღონეს არ დაიშურებს ამისათვის, განაცხადა ვლადიმერ ზემსკიმ.

გალინა ჩიქოვანი,
იური ფრიდონიშვილი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი -მოვლენა კომენტარი

ნომერში

⊙ შეტორტმანებული ატლანტები, ანუ გაგრის ტრაგედია მონაწილის თვალით. — 2
⊙ ბაზრის კანონი — ჯუნგლის კანონი?! — 4

ბილ კლინტონი:

მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ. თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ მსოფლიოსათვის

სატელეფონო საუბარი ედუარდ შევარდნაძესა და ბილ კლინტონს შორის

12 ნოემბერს გაიმართა სატელეფონო საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძესა და ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეულ პრეზიდენტს ბილ კლინტონს შორის.

— უპირველეს ყოვლისა, ჩემს მოვალეობად ვთვლი, რომ რაც შეიძლება ნაკლები დრო წაგართვათ, — მიმართა საუბრის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძემ. — რადგან მსოფლიოში მშვიდობიანობისა და სტაბილიზაციის რაც შეიძლება სწრაფად დამყარება ამერიკის შეერთებული შტატების აქტიურობაზეა დამოკიდებული. სტაბილიზაციითა და მშვიდობით კი დაინტერესებულია ყველა, მათ შორის ამერიკიდან ასე შორს მდებარე ქვეყანა — საქართველო. ამიტომ მინდა დრო რაც შეიძლება ცოტა წაგართვათ. მოგეხსენებათ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სერიოზული კონფლიქტები მიმდინარეობს და თუ მათი დროული ლოკალიზება ვერ მოხერხდა, შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ.

კავკასია ამ მხრივ სერიოზული რეგიონია და მის შესახებ მსოფლიომ ცოტა რამ იცის. — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ. — აქ მიმდინარე პროცესების მართვა აუცილებელია, და თუ ეს ვერ შევძელით, მოსალოდნელია, რომ იგი მეორე ლიბანად ან იუგოსლავიად გადაიქცეს. ეს კი ძვირად დაუჯდება არა მარტო ევროპას, არამედ მთელ მსოფლიოსაც.

კონფლიქტები, რომლებიც რუსეთს ემუქრება, ამ ქვეყანაში რეაქციული და ტოტალიტარული ძალების გააქტიურების შედეგია, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ.

შემდეგ მან მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეულ პრეზიდენტს მხარდაჭერისათვის, რომელიც მის მილოცვაში გამოიხატა, და ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის, მთელი ხალხის მისწრაფებას, როცა მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, ყველაფერი კეთდება და გაკეთდება იმისათვის, რომ საქართველო ახალი დემოკრატიის, კომუნიზმისშემდგომი დემოკრატიის ნიმუში გახდეს. ჩვენს ქვეყანას აქვს ამის ყველა საშუალება, — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ.

— ეს რამდენიმე წელია, რაც თქვენს მოღვაწეობას თვალს ვადევნებ, თქვენი თაყვანისმცემელი ვარ და მიხარია, რომ სწორედ თქვენ გახდით საქართველოს მეთაური, — აღნიშნა ბატონმა ბილ კლინტონმა. — თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ მსოფლიოსათვის, ამერიკა დაინტერესებულია, რომ საქართველო, მთელი კავკასიის რეგიონი სტაბილური იყოს. თქვენ მართალი იყავით, როცა ამბობდით, რომ საქართველო მართლაც შეიძლება იყოს კომუნიზმისშემდგომი დემოკრატიის ნიმუში. ვიმეორებ, მე იმ მრავალრიცხოვან ამერიკელთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც თქვენი თაყვანისმცემლები არიან. როგორც კი ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდგები, გარწმუნებთ, ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ საქართველოს და კავკასიას სტაბილიზაციის მიღწევაში. თქვენ არ დაგვჭირდებათ ჩემი წინასწარი გაფრთხილება. ჩვენ, თქვენი სურვილით, ნებისმიერ დროს შეგვიძლია ვისაუბროთ, — დასძინა დასასრულ ბილ კლინტონმა.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი,

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის სამდივნოს შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
შეიქმნას საქართველოს პარლამენტის სამდივნო.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლს 7 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს პარლამენტის შემდეგი მუდმივი კომისიები:

სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისია
საგარეო საქმეთა კომისია
თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისია
იურიდიული კომისია
ეკონომიკურ საკითხთა კომისია
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია
ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისია
განათლებისა და მეცნიერების კომისია
კულტურის კომისია
ჯანმრთელობის დაცვის კომისია
აგრარული კომისია
მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისია
ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია
სოციალურ საკითხთა კომისია
მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისია
სპორტისა და ტურიზმის კომისია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 7 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის სამდივნოს უფროსის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
საქართველოს პარლამენტის სამდივნოს უფროსად არჩეულ იქნეს ვასილ გოცირიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 12 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნენ:

სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარედ — **თენგიზ ბუაჩიძე;**

საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ — **თამაზ გამყრელიძე;**

თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარედ — **ნოდარ ნათაძე;**

იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ — **შალვა ნათელაშვილი;**

ეკონომიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ — **ვალერიან ადვაძე;**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ — **თეიმურაზ ბასილია;**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ — **ზურაბ ნოღაიდელი;**

ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის თავმჯდომარედ — **ირაკლი შენგელაია;**

განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარედ — **კონსტანტინე გაბაშვილი;**

კულტურის კომისიის თავმჯდომარედ — **ელდარ შენგელაია;**

ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარედ — **თენგიზ გაზდელიანი;**

აგრარული კომისიის თავმჯდომარედ — **როინ ლიპარტელიანი;**

მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ — **ნიკოლოზ ლეკიშვილი;**

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის თავმჯდომარედ — **გრიგოლ ლორთქიფანიძე;**

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ — **ზაზა სიხარულიძე;**

მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარედ — **ვაჟა ადამია;**

სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარედ — **ბეჟან ხურციძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 12 ნოემბერი.

საზღვაო ბლოკადა მტკნარი სიცრუეა
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადება

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებთან მოლაპარაკების საფუძველზე ფოთის სამხედრო-საზღვაო ნავსადგურში რუსეთიდან შემოსულ გემებს გადაჰყავდათ მგზავრები. ამის გარდა გადაჰქონდათ სამხედრო ტექნიკა, რაც იყო უხეში დარღვევა მოლაპარაკებისა. ამიტომაც სამხედრო ნავსადგურში აიკრძალა გემების შემოსვლა.

1 ნოემბერს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ნაპირიდან ჩვენს სამოქალაქო გემს სროლა აუტეხეს, რის შედეგადაც დროებით შეწყდა საზღვაო მიმოსვლა.

7 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალ გრომოვთან, შავი ზღვის ფლოტის სარდალთან იგორ კასატონოვთან და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსთან ალ. ჯავახიშვილთან.

გადაწყდა, რომ სამხედრო ნავსადგურში აღარ შემოუშვებენ გემებს და მიმოსვლა ნებადართული იქნება მხოლოდ სავაჭრო ნავსადგურით. დაცული იქნება რეჟიმი, ნავსადგურში შესვლა-გამოსვლა მოხდება სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული მორიგის ნებართვით.

11 ნოემბერს 17 საათსა და 10 წუთზე სამხედრო-სადესანტო გემი „ყირიმელი კომკავშირელი" შევიდა ფოთის სავაჭრო ნავსადგურში, რომელიც მოემსახურება მგზავრების გადაყვანას და მოქალაქეების ტვირთის გადატანას.

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და, კერძოდ, გაზეთ „ზაკავკაზსკიე ვოენიე ვედომოსტის" განცხადება იმის თაობაზე, თითქოს საზღვაო ბლოკადა იყოს, მტკნარი სიცრუეა.

დონ ტენერი: საქართველოსთან გარიგება არავითარ საფრთხეს არ შეიცავს
კანადის საერთაშორისო რადიოს ცნობა

კავკასიაში წარმოქმნილი ეროვნული კონფლიქტები უარყოფით გავლენას ახდენს მთელი რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამას წინათ საქართველომ თხოვნით მიმართა კანადას, მიეყიდა მისთვის 168 მილიონი დოლარის მარცვლეული. მაგრამ კანადის მარცვლეულის საბჭომ უარი უთხრა საქართველოს ამ თხოვნაზე, რადგან არ არის დარწმუნებული ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის გადახდისუნარიანობაში. საქართველოსათვის კანადური მარცვლეულის მიყიდვის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა კომპანია „დაიტრონ ინტერნეშილი". ამ კომპანიის წარმომადგენელმა დონ ტენერმა განაცხადა, რომ გარიგების დადებისათვის საქმიანობა ოქტომბერში დაიწყო. იგი ცდილობდა შეეპირებინა პროვინციულ ხელისუფალთა დახმარება, მაგრამ გააფრთხილეს, ოტავა საქართველოსათვის კანადური მარცვლეულის მიყიდვის წინააღმდეგი იქნებაო. დონ ტენერმა გაზეთ „ჯორნელს" გაუგზავნა პირი საქართველოს ეროვნული ბანკის წერილისა, რომელიც შეიცავს გარანტიას, რომ გადახდილი იქნება პირველი პარტიის — 250 ათასი ტონა მარცვლეულის ღირებულება — 19.900 ათასი დოლარი. როგორც დონ ტენერი აღიარებს, სსრ კავშირის ნანგრევებზე წარმოქმნილ ქვეყნებთან ვაჭრობა სარისკოა ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ, მისი აზრით, საქართველოსთან მარცვლეულის გამო გარიგება არავითარ საფრთხეს არ შეიცავს. როგორც მან თქვა, საქართველოს ძალიან უჭირს მარცვლეული, მაშინ როცა კანადის ჩრდილო პროვინციათა ფერმერები ეძებენ ბაზრებს თავიანთი დაბალი ხარისხის მარცვლეულის გასაღებისათვის, რომლებიც წელს მეტია წარმოებული, ვიდრე მაღალი ხარისხის მარცვლეული. ასე რომ, საქართველო გასაღების იდეალური ბაზარი იქნებოდა კანადელი ფერმერებისათვის. მაგრამ კანადის მარცვლეულის საბჭო არ ცნობს დონ ტენერის არგუმენტს, მას აგრეთვე უთხრეს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საგარანტიო წერილი არ შეესაბამება საკრედიტო დოკუმენტებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. საქართველო იძულებული იქნება ეძებოს ახლა მარცვლეული სხვა სახელმწიფოებში.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი.

ქ. მოსკოვი.

საჭიროა გამართული ორგანიზატორული მუშაობა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის ღონისძიებათა რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა, რომლის მონაწილეებმაც განიხილეს კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებასთან დაკავშირებული ფართო წრის პრობლემები. აღინიშნა, კერძოდ, რომ პურის ფასის მომატებასთან ერთად, ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ მისი ხარისხის გაუმჯობესებას. მაღაზიებში პურის რიტმული შეტანის მოგვარებისათვის უნდა მივიღოთ ზომები ტრანსპორტის ბენზინით უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება მარცვლეულს, მისი მარაგი რესპუბლიკაში ჯერჯერობით საკმარისი რაოდენობითაა. გარდა ამისა, მალე კიდევ შემოვლენ მარცვლეულით დატვირთული გემები. ამავე დროს, ამინდის პირობების გამო, რესპუბლიკის ნავსადგურებში ნელი ტემპით მიმდინარეობს მარცვლეულის გადმოტვირთვისა და ვაგონებში მისი დატვირთვის სამუშაოები.

უნდა დაჩქარდეს აგრეთვე, კარტოფილის აღების, მისი გადაზიდვისა და ზამთრისათვის დაბინავების ტემპი. მართალია, ალიონის რაიონებში ჩაიტანეს დიზელის საწვავი, მაგრამ ამან ვერ გადაჭრა პრობლემები. კვლავ გრძელდება თავდასხმები ავტომანქანებზე. მძღოლები, უბრალოდ, უარს ამბობენ, გადაიტანონ, იგრეთ წოდებული, „საშიში" ტვირთი. ამასთან დაკავშირებით, დაისვა საკითხი იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილის გადმოზიდვას მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზით. გარდა ამისა, მოველით ჩინეთიდან და ყაზახეთიდან დამატებით ათ-ათი ათასი ტონა კარტოფილის მიღებას.

ზამთრის პერიოდში მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით დავაბინავებთ ბოსტნეულს. უკვე, მაგალითად, მიმდინარეობს კომბოსტოს, სტაფილოს, სუფრის ჭარხლის შემოტანა სხვადასხვა რეგიონიდან. და აქ საჭიროა გამართული ორგანიზატორული მუშაობა, უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური ზრუნვა მთელი ამ კამპანიის წარმართვისათვის. მით უმეტეს, რომ შეშფოთებას იწვევს მოსავლის, მაგალითად, შაქრის ჭარხლის აღების ნელი ტემპი.

ყურადღება გაამახვილეს შაქრის, ზეთის, სხვა პროდუქტების ნორმირების, მათი საომარი მოქმედების ზონაში, მაღალმთიან რაიონებში გაგზავნის საკითხებზე.

სხდომაზე, რომელიც გაიმართა რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ომარ ვარძელაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილეს სხვა აქტუალური საკითხებიც, გაიცა საჭირო დავალებანი.

> ...კეისარმა უბრძანა მისი ცხენი წაეყვანათ უჩინარესად, შემდეგ — ყველა სხვა მეთაურის ცხენები, რათა ერთნაირი საშიშროების წინაშე გაქცევის იმედი ყველასთვის მოესპო; გაამხნევა ჯარისკაცები და დაიწყო ბრძოლა".
>
> **იულიუს კეისრის და მისი გამგრძელებლების ჩანაწერები, გალიის ომის შესახებ, I, 25.**

1. შეტორტმანებული ატლანტები
გაგრის ტრაგედია მონაწილის თვალით და ზოგი სხვა რამ

რა იყო მაინც — ღალატი? უთავბოლობა? უზრუნველობა? დილეტანტიზმი? თუ ყველაფერი ერთად და კიდევ სხვა რამ?

პასუხგაუცემელი დამძიმდა კითხვის ნიშანი, წონასწორობადაკარგული თავქვე დაეკიდა და გადმოიღვარა თავშეუკავებელი კომპეტენტურობის წვიმის ღვარი.

წვიმებმა გადაიწვიმეს სანაპიროზე ამ შემოდგომას. ისე იწურებოდა ბოლო ღრუბელი ზღვაში, როგორც მეზობლის ჯინაზე გარეცხილი კატა. ჩხაოდა კატა, ებრძოდა პატრონს, იფხაჭნებოდა — ინსტინქტურად, დოზდლოდ. უძალო ბრჭყალები იმ უკანასკნელ სიმსა წყვეტდა, რომელზეც ავტორი მორიგი ოპუსის შესრულებას აპირებდა.

პაგანინი?!

როგორ გეკადრებათ!

რაც ეხ-ეხაა ვთქვი, წინასწარ შემამსუბუქებელი არგუმენტებია ამ წერილის ავტორისათვის მდგომარეობის მოსალოდნელი გართულებისა გამო: ბევრს არ მოეწონება ქვემორე წაკითხული.

წაიკითხავთ კი მებრძოლი კაცის მონათხრობს, განცდილს, გადატანილს, ჭრილობის ტკივილით გამძაფრებულს! ტყვია სასწაულად ასცდა გულს. საკუთარი აზრის ქონის უფლება, რასაკვირველია, აქვს ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ლევან ჯობაძე ჰქვია.

დეკემბერ-იანვარში ბუნკერს უტევდა, წლეულს, ზამთარში დასავლეთ საქართველოში გაჰყვა გვარდიას, გაგრიდან ახლახან ჩამოიყვანეს, როგორც გითხარით — დაჭრილი.

მოხალისედ წავიდა ყველგან, რადგან ყველგან ყოველთვის ჭირდებოდათ არტილერისტები: არტილერისტი იყო სამხედრო პროფესიით, ოფიცერი — თადარიგისა.

ხუროთმოძღვარი კაცია, არქიტექტორი. ბოლო ხანს მონაწილეობდა თბილისში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტების კონკურსზე.

როგორც ახლა წერენ: ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

რასაკვირველია, ჰყავს დედა, რომლის წლები და ჯანმრთელობა ეწირება უმცროსი შვილის ყველა ომში წასვლას...

* * *

ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორია ფრონტზეც პოულობს დადასტურებას: დროის და ადამიანის შესაძლებლობათა ურთიერთკავშირი სულ სხვა განზომილებაში გადადის — ისეთ აჩქარებას იძენს, რომ თვალსა და ხელს შუა ქრება დროცა და ადამიანიც, ანუ მისი მშვიდობიანობისდროინდელი შესაძლებლობანი: ჩვეულებრივი საწყაოთი ვერ მიუდგები ვერც უფლებას, ვერც მოვალეობას, ვერც პასუხისმგებლობას.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს: ომის დროს დაძაბულობა ისეთი მუდმივი და ყოვლისმომცველი კატეგორიაა, რომ ოფიცერი თუ ჯარისკაცი მხოლოდ საკმაოდ მცირე დროის მანძილზე ინარჩუნებენ სრულ კონდიციას, შემდეგ ყველაფერი ძნელი ასატანი ხდება, გარემოს აღქმა — გამძაფრებული და ნერვიული, ადამიანი იფიტება.

ასე წერდა პირველი მსოფლიო ომის მაგალითზე რობერტ გრეივზი, ინგლისელი მწერალი („მშვიდობით, ყველაფერო"), და თუ ასე იყო მაშინ, 78 წლის წინ, დღეს, თუნდაც ლოკალურ სამხედრო კონფლიქტში, შეუდარებლად მძიმეა სტრესი.

ეხეც — წინასწარი შემამსუბუქებელი გარემოება რესპონდენტისათვის მოსალოდნელ გართულებათა გამო, ვინმეს ძალიან რომ არ მოეწონოს ნაომარი კაცის მონაყოლი.

* * *

დავიწყოთ 21 სექტემბრით:

— პოზიციაზე ღამე გავედით, საერთოდ, ღამ-ღამობით გავდიოდით. მოწინააღმდეგე კი თავის ხალხს წინა ხაზზე 4-5 საათზე ცვლიდა, დღის სინათლეზე, როდესაც ყველაფერი კარგად ჩანს. და ჩამბარებელიცა და მიმღებიც შესანიშნავად არკვევენ ყველა ცვლილებას, რაც საომარი დღის მანძილზე მოხდა, რა განვითარება შეიძლება მოჰყვეს ამ ცვლილებებს — საიდან და რომელი მიმართულებით.. ელემენტარულია — უნდა ხედავდე და აფიქსირებდე იმას, რასაც იბარებ. ჩვენ კი ბრმებივით ვაფათურებდით ხელებს ყოველ ღამ.

ჩვენი თავდაცვის ხაზი, ვთქვათ ასე, — კოლხიდაში (მეტს ნუ დავაზუსტებთ) კილომეტრნახევარზე გაჭიმული, ცოცხალი ძალით საკმაოდ გამოხშირული იყო. ჩემი პოზიციიდან მეზობლებამდე 300 მეტრი ცარიელი „დერეფანი" დარჩა. აი, მის გასწვრივ მე და ამირან კაპანაძე, ბატალიონის ექიმი მთელი ღამე დავდიოდით სროლა-სროლით, ხმამაღალი საუბრით: მტერს ვაჩვენებდით — ბევრნი ვართ და ფხიზლად ვდარაჯობთ ჩვენს პოზიციას. მერე ორი ბიჭი მოგვაშველეს, ახალწვეულები, გამოუცდელები (მოხალისე და იარაღი ცალკე თემაა).

გაგვიჭირდა. რუსთაველის პროსპექტზე სეირნობას არ ჰგავს ამ ტყე-ღრეში და აღმართ-დაღმართებში წანწალი. ვესროდით მოკლე ჯერს მტრის პოზიციას, ცოტას გავივლიდით, ისევ ვესროდით. გავიდოდით ასე იმ სამას მეტრს, ჩავჯდებოდით. 15 წუთში ორი სხვა იმასვე გააკეთებდა. ჩვენ ისევ სროლით ქვემოთ ჩამოვბრუნდებოდით. მერე თავიდან მეორდებოდა ყველაფერი.

ავტორის რემარკა:

ესეც ახალი სიტყვა (?!) საომარ ტაქტიკაში. აგიხსნით: მოწინააღმდეგეს ჩამოუყალიბდა აზრი, რომ იარაღიანი ქართველი ნიშნავს აუცილებელ სროლას. პრაქტიკულად ასეა: მტრის პოზიციისთვის ცეცხლის გახსნისთვის რაიმე კონკრეტული მიზეზი არაა საჭირო. თუ არ ვისვრით, ესე იგი, ან არავინაა პოზიციაზე, ან ტყვია-წამალი გამოგველია. ან იარაღი არ გვაჩნია. და იწყებს მტერი შემოტევას. აი, ამ ილუზიის გასაქარვებლად ვისვრით. დავარქვათ ამას პირობითად პოზიციური ომი, საბრძოლო ტაქტიკის აუცილებელი შემდგენელით, რომელიც ბევრ ტყვია-წამალს „ჭამს".

ერთი სიტყვით, ხალხი აკლდათ წინა ხაზზე. აკლდათ კი? ამდენი მსურველი, ამდენი მოხალისე: ვეღარ აკავებდნენ თბილისში ახალგაზრდებს, ხანდაზმულებს, სარდლობა აცხადებდა, რომ თავი შეეკავებინათ ამ ომის დროს თვითმოქმედებისაგან შეიარაღებულ რაზმებს, ყოველდღე გადასცემდნენ ტელევიზიით თვითნებურად არ ჩასულიყვნენ აფხაზეთში.

მაშ, რატომ აკლდა მებრძოლები წინა ხაზს? კოლხიდას, კერძოდ?

— რატომ გვაკლდა? როგორ გითხრათ, გუმისთაზე რომ ვიდექით, ერთი სული გვქონდა, გაგრაში მოვხვედრილიყავით: გუმისთაზე ფაქტობრივად არ ვიბრძოდით. არც ჩვენ ვუტევდით, არც ისინი. ძალიან სუსტ პოზიციებზე იდგნენ და, გასაკვირია, აფხაზებმა და კონფედერატებმა გაგრას რომ შეუტიეს, ჩვენებმა ნაბიჯიც რატომ არ გადადგეს ამ პოზიციების ასაღებად?! მაშინ მოწინააღმდეგე გუდაუთას დაკარგავდა და, ვინ იცის, გაგრის ბრძოლა როგორ დამთავრდებოდა...

მაგრამ, როგორც იტყვიან, მეთაური უკეთ ხედავს. ნიშნის მოგებით არ ვამბობ ამას, მართლა ასეა: იქ, პოზიციაზე და თბილისიდან სხვადასხვა რაკურსით ჩანს აფხაზეთის ომიც და კონკრეტული ბრძოლებიც. ომში სხვა ფსიქოლოგიაა, სხვა ემოცია, სხვა დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლის პრაქტიკული პრობლემისადმი.

ჩვეულებრივ ვითარებაში შეიძლება გიჟობად შეაფასო, ის, რაც წინა ხაზზე ნორმაა!

ერთ ეპიზოდს მოგიყვებით მაგალითისათვის.

რუსი ბიჭი იბრძოდა ჩვენთან, მცხეთელი, 59 წელს დაბადებული, ფედია სამოილოვი.

მეორე ბიჭი გვყავდა — ქართველი, მალხაზი (იქ ყველა ერთმანეთს სახელებით ვიცნობდით), თავზეხელაღებული.

ეს, ბატონო, მოქმედი პირები.

ახლა „ფსიქოლოგიური ექსპოზიცია": საკუთარი სიცოცხლის ფაქტორი საერთოდ გამორიცხული იყო, სამაგიეროდ უაღრესად გამძაფრებულია მეგობრის სიცოცხლის გადარჩენის გრძნობა. დაჭრილების და დახოცილების გამოსაყვანად, არ ვაჭარბებ, ტყვიის წვიმაში შედიოდნენ ბიჭები, გამოჰყავდათ.

ნაშუადღევს, მზე რომ გადაიწვერებოდა, პირდაპირ თვალებში შემოგვანათებდა, და დაგვაბრმავებდა. მაშინ იწყებდა სროლას მოწინააღმდეგე.

აი, სწორედ ამ დროს, უფრო სალამოსკენ ეს ორნი — მალხაზი და ფედია ყველას თვალწინ გუმისთის დანაღმულ ხიდზე გადადიან, ერთს ყუმბარმტყორცნი უჭირავს, მეორეს — ორი ყუმბარა. გატენეს, დაუმიზნეს, ესროლეს. ბრძოლის ლოგიკით სასწრაფოდ უნდა დამალულიყვნენ საფარში, მოწინააღმდეგის პასუხს მორიდებოდნენ. ამათ კი რა ქნეს? ისევ გატენეს და ისევ ესროლეს. მერე ერთმანეთს ხელი გადახვიეს და ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდნენ.

მტერმა ვერ ესროლა.

რა არის ეს? — ჩვენების ქცევაზე გეკითხებით. — სიგიჟე? დაცინვა? სიკვდილის აბუჩად აგდება? თუ ყველაფერი ერთად? მაგრამ ამაში გონება რომ არ ურევია, აშკარაა. ფანტასტიკაა. და ასე ხდებოდა ხშირად.

ან ასეთი ეპიზოდი: გაგზავნეს ჩვენები პოზიციაზე („ბეემპეთი" იყვნენ) და მოხვდნენ ჩეჩნებთან (როგორ მოგწონთ?) ესროლეს ჩეჩნებმა, გაიგლიჯა საბრძოლო მანქანა. წესით, ეკიპაჟს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა „ბეემპე", მაგრამ შემოაბრუნეს და ჩვენს პოზიციაზე დაბრუნდნენ. კი — საავადმყოფოში მოხვდნენ არცთუ სახუმარო დამწვრობით და ჭრილობებით, მაგრამ გადარჩნენ ბიჭები.

ასეც ხდებოდა...

— ჩეჩნების პოზიციაზე რომ აღმოჩნდნენ ჩვენებთან გაგზავნილები, ის უფრო საოცარია და გაუგებარი: გზა დაიბნათ, თუ არ იცოდნენ, სად გზავნიდნენ?

— გიპასუხებთ, მაგრამ ჯერ ის თემა დავამთავროთ, ხალხი რომ გვაკლდა.

82-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების ბატარეაში 7 კაცი ვიყავით: ბატარეის მეთაური (დავით მგალობლიშვილი), ორი საცეცხლე ოცეულის მეთაური, სადაზვერვო ოცეულის მეთაური (მე გახლდით), ბატარეის ზემდეგი, ორი ჯარისკაცი და... ერთი ნაღმსატყორცნი. თავიდან 4 ნაღმსატყორცნი მოგვცეს. ამ ოთხიდან სამი ავაწყვე, ერთი სხვას გადასცეს, მეორე მწყობრიდან გამოვიდა (ომია). ერთიღა დაგვრჩა.

ამას ერქვა ბატარეა.

ჩემს რადიოტელეფონისტს არაფერი გააჩნდა, რაც მისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის იყო საჭირო. სამაგიეროდ ჰქონდა გრძელი ფეხები, რომლებსაც მაქსიმალურად იყენებდა— განკარგულების გადასაცემად ერთი ბოლოდან მეორეში დარბოდა.

მე, ოცეულის მეთაურს არა თუ არ გამაჩნდა აუცილებელი ხელსაწყოები, ელემენტარული რუკაც არ მქონდა.

სოხუმში 316 კაცი ჩავედით (ბატალიონზე ვამბობ), კოლხიდაში 90-100-მა ჩავაღწიეთ: ზოგი კი იყო საბრძოლო სულისკვეთებით, მაგრამ დაძაბულობას ვერ გაუძლო წავიდა, ზოგი სხვა მიზეზით დაგვაკლდა. ზოგი ჯერ კიდევ გუმისთაზე ყოფნისას გამოგვეთიშა. პოზიციურ ბრძოლებს ვეწეოდით მაშინ, გაგრაში კი ჩვენი ძმები იღუპებოდნენ. გვეჩვენებოდა, რომ უმოქმედოდ ვიყავით (ახლა კი ვხვდები, რომ მაინც საქმე გვიკეთებია). ამიტომ ჩვენი ბატალიონიდან გაგრაში სამრად წავიდნენ ბიჭები.

ერთი ერთი.

ახლა მეორე.

ჩვენი რეგულარული არმია ომის დროს რომ ყალიბდება, ეს ურთულესი პროცესია, შეცდომებიც აქედან მოდის, ალბათ.

აი, მაგალითად.

პირველ დღეებში ვინ მიდიოდა აფხაზეთში საბრძოლველად? უმთავრესად ახალგაზრდები, რომლებიც მშვიდობიან ცხოვრებაში ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ ან ნათესაობით, ან მეგობრობით, ან ერთ უბანში ცხოვრებით; მიდიოდნენ ცალ-ცალკე, მაგრამ მე ძირითად ტენდენციაზე ვლაპარაკობ.

აი, ასეთი ჯგუფების წევრები მოითხოვდნენ ერთად ყოფნას, ჩაწერას ერთ სამხედრო შენაერთში.

არ აკეთებდნენ ამას არმიის ორგანიზატორები და ძალიან გავდა ეს ყველაფერი სსრკ არმიაში ქართული შენაერთების აკრძალვას.

ბოლოს მაინც ისე დალაგდა, როგორც ხალხს უნდოდა. მაგრამ ამან არია ორგანიზაცია, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შენაერთში ზედმეტი ხალხია, ზოგიერთს აკლია. თუ ჰქონდათ პრინციპი, ბოლომდე უნდა გაეტარებინათ; თუ ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, ადრე რა უშლიდათ?

ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით და ახლა ასეთი „ტერიტორიული" სახელწოდებები აქვთ შენაერთებს (არაოფიციალური): ასმეორე ბატალიონის პირველი ასეულის ლოტკინის ოცეული, ან თელავის ოცეული.

სხვაც იყო განთესვის მიზეზი, მაგრამ ძალიან შორს წაგვიყვანს რომ ჩავუღრმავდეთ.

არმაზ ძალიძე.

გაუგებრობა რომ ავიცილოთ
საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

შეკითხვა: კომისია არ მიფორმებს მიწის ნაკვეთს, რომელიც იჯარით მქონდა აღებული. მოიმიზეზეს, რომ მაგ ნაკვეთს გამოუჩნდა პატრონი, რომელსაც იგი გასაბჭოებამდე ეკუთვნოდა. (უ. ურუშაძე, ოზურგეთის რაიონი სოფელი ლიხაური).

— ზეპირი განცხადება მიწაზე კერძო მფლობელობის დამადასტურებელი საბუთი არ არის. ამისათვის სათანადო დოკუმენტების წარდგენაა საჭირო, რის შესახებაც ინფორმირებული არიან ადგილობრივი და რაიონული კომისიები. თუ თქვენ იჯარა ყველა იურიდიული ნორმის დაცვით გქონდათ გაფორმებული, კომისიას შეუძლია მოგანიჭოთ უპირატესობა, უარის შემთხვევაში მოპირდაპირე მხარემ უნდა აგინაზღაუროთ ის ხარჯები, რომლებიც თქვენს მიერ არის გაწეული.

შეკითხვა: გორის რაიონის სოფელ საქაშეთში მაქვს მამაპაპეული ნაკვეთი, რაც სათანადო დოკუმენტაციით დასტურდება. როგორც მიწის ყოფილი მესაკუთრე, რა უპირატესობით ვსარგებლობ? (ბ. ოქროპირიძე, თბილისი).

— ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემულია დადგენილებით და ჩვენც რამდენჯერმე ვუპასუხეთ. გვესმის, რომ მიწის ბევრი ყოფილი მესაკუთრე უკმაყოფილოა და არასწორად მიიჩნევს საკუთრებისადმი ასეთ დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, ამ ნაწილში დადგენილების სისწორე მიწების განაწილების პრაქტიკამ დაადასტურა, შესაძლებელია, მიწის რეფორმის კანონპროექტის მომზადებისას ზოგი რამ გაუთვალისწინებელი დარჩა და დადგენილების ეს პუნქტი სერიოზულად გადასახედია. თქვენ, როგორც ქალაქის მაცხოვრებელს, ნაკვეთი უნდა მოგცემოდათ მესამე რიგში, როგორც მიწის ყოფილ მესაკუთრეს, ნაკვეთი გამოგეყოფათ სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ერთად და თანაც თქვენს ყოფილ მიწაზე. რაც შეეხება ფართობის ოდენობას, აქ არავითარი უპირატესობა არ მოგენიჭებათ.

დადგენილების ექო

შეკითხვა: არ მიმატებენ საკარმიდამო ნაკვეთს ჩემი ეზოს გვერდით მდებარე ვენახიდან, რომელსაც 10 წელია ვამუშავებ. უარის საბაბი ის გახლავთ, რომ თურმე გამოჩნდა ამ ნაკვეთის ყოფილი მეპატრონე, რომელიც მისგან ერთი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს. (ი. გელაშვილი, ზესტაფონის რაიონი, სოფელი ძირულა).

— ნაკვეთიდან ახლოს, თუ შორს ცხოვრება არ არის ის არგუმენტი, რომლითაც შესაძლებელია უარი ეთქვას მის ყოფილ მესაკუთრეს. აქ მეორეა გასათვალისწინებელი. თქვენ წერთ, რომ მოდავე მხარეს ახალ ნორმაზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთი აქვს, თუ ეს მართლაც ასეა, კომისიამ დავა თქვენს სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს.

შეკითხვა: უნდა ჩამითვალოს თუ არა კომისიამ საკარმიდამოს მთლიან რაოდენობაში ნაკვეთის ნაწილი, რომელზეც თუთა მაქვს გაშენებული? (მ. კვიჟინაძე, ქ. ჭიათურა).

— რამდენადაც, სხვა სახის მიწებთან ერთად დადგენილება ითვალისწინებს საკარმიდამო ნაკვეთების შევსებას მრავალწლოვანი კულტურის ხარჯზეც, კომისიას უფლება არ აქვს გამონაკლისი დაუშვას თუთის ნარგავების მიმართ.

შეკითხვა: შემინარჩუნდება თუ არა რამდენიმე ათეული წლის წინ საკარმიდამო ნაკვეთის შესრულებისათვის გამოყოფილი ნაკვეთი, რომელიც ადრე საბჭოთა მეურნეობის, ხოლო ამჟამად ამ მეურნეობიდან გამოყოფილი კოლმეურნეობის ხაყანე მასივში მდებარეობს და მასზე ვინმე კერძო მესაკუთრე პრეტენზიას არ აცხადებს? (ნ. ებრალიძე, ქ ლანჩხუთი).

— კომისია სწორად მოიქცევა, თუ ძველ ადგილას შეგინარჩუნებთ ადრე საკარმიდამო ნაკვეთის შესავსებლად გამოყოფილ ფართობს.

შეკითხვა: მეკუთვნის თუ არა მიწის ნაკვეთი მშობლიურ სოფელ ლანირ-ჭაგანში, სადაც ცხოვრობს დედა და რომელსაც კომისიამ გამოუყო 0,75 ჰა მიწის ნაკვეთი (ვ. არველაძე, ქ. ბათუმი.

— თუ კომისიას სხვა მიზეზები არ გააჩნია, მას შეუძლია გამოგიყოთ მიწის ნაკვეთი იმ მოცულობით და იმ თანამიმდევრობით, რომელიც ვრცელდება ქალაქში მცხოვრებ იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც მიწის დამუშავების სურვილი აქვთ.

შეკითხვა: მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო საკარმიდამო ნაკვეთის დამატება მამაპაპეული მიწების ხარჯზე, რომელიც კოლექტივიზაციის დროს ჩამოგვართვეს და ამჟამად კოლმეურნეობა ფლობს. და კიდევ, მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მიწის ნაკვეთი ჩემი ვაჟისათვის, რომელიც ციმბირში ნავთობის მოპოვებაზე მუშაობს? (ლ. მელიქიძე, ასპინძის რაიონი, სოფელი ტოლოში).

— კომისია ვალდებულია ნორმის ფარგლებში შეგივსოთ საკარმიდამო ნაკვეთი თქვენი ყოფილი მიწებიდან. თუ თქვენს შვილს მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქეობა, მას მიწის ნაკვეთი არ ეკუთვნის. სხვა შემთხვევაში კომისიას შეუძლია განიხილოს ეს საკითხი და მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებლობის ფარგლებში დაგაკმაყოფილოთ იმ პირობით, როგორც ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეებს ეკუთვნის.

ერის წყლული გვაჩნდეს წყლულად...
გვაქვს კი ლოდინის დრო?!

მზია გელენავა

ომი... როგორ შევეჩვიეთ ამ საშინელ სიტყვას. შევეჩვიეთ უსახლკაროდ დარჩენილ ბავშვებს და მოხუცებს, დაღვრილ სისხლსა და ცრემლის ნაკადულებს, გამაოგნებელ უიმედობას, ათასობით ლტოლვილს, უპასუხოდ დარჩენილ საბედისწერო კითხვებს: რა გვეშველება? არის თუ არა ხსნის გზა? ვისი იმედით ვიყოთ?...

„ივერიაში" აფხაზეთიდან ლტოლვილები მოვინახულეთ. რას ფიქრობენ თვითონ ისინი, ვინც ყველაზე მეტად იწვნია ჩვენი საერთო და დიდი ტრაგედია, ვინც დაუცველი დარჩა და პირისპირ შეეჩეხა ამაზრზენ რეალობას. როგორია მათი განწყობა, რას ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე, აქვთ კი იმედი უკან დაბრუნებისა?

— თქვენ კი გაქვთ რაიმეს იმედი? — კითხვას კითხვითვე მიბრუნებს ბიჭვინთელი ხანდაზმული კაცი დათა გავაშელი, — გუშინ მთელი დღის მანძილზე თვალყურს ვადევნებდი ჩვენი პარლამენტის სხდომის მიმდინარეობას. ყველა თავს იმართლებს, ყველა მიზეზებს ეძებს, განა შეიძლება ამ გაჭირვების დროს ასეთი უმოქმედობა? რა ხანია სოხუმში უპუროდ, უწყლოდ, უშუქოდ ცხოვრობს ხალხი; თუ რამეს დაწერთ, აუცილებლად თქვით: — დღევანდელ სიტუაციაში, სულ მცირე დაგვიანებაც კი ღალატის ტოლფასია. ისე მივზოზინებთ, თითქოს ცა და ქვეყანა არ გვექცეოდეს თავზე. ნეტა, რას ველოდებით კიდევ, რას?..

— მე როგორც მხედავთ, ახალგაზრდა კაცი ვარ და სრულიად საღ-სალამათი, — საუბარში ერევა ბიჭვინთელი ბადრი კანდელაკი, — სადაც გინდათ დაწერეთ, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მე არა ვარ აფხაზეთში საომრად წამსვლელი, სანამ ჩვენი არმია არმიას არ დაემსგავსება. როგორ შეიძლია ვენდო არასამხედრო პირებს, რომელთაც არც სათანადო სამხედრო განათლება აქვთ, არც გამოცდილება და დისციპლინისა და წესრიგისაც არაფერი გაეგებათ. ყოველივე ამის თვითმხილველი ხომ ჩვენ თვითონვე ვართ, რომ მეგულებოდეს უმკაცრესი სამხედრო დისციპლინით და მხედრული ცოდნით ერთ მუშტად შეკრული არმია, რა გამაჩერებდა აქ. სამი მცირეწლოვანი შვილის მამა ვარ და უაზრო სიკვდილის არავითარი სურვილი არა მაქვს. ხომ უნდა მქონდეს რაღაცის გარანტია, ხომ უნდა ვენდობოდე მეთაურს, რომელ სამხედრო ძლიერებაზეა ლაპარაკი, როცა ძალების დაქსაქსულობა, ცალკეული ქვედანაყოფების თუ რაზმების დაკომპლექტება ტერიტორიულ-ეთნიკური პრინციპით ფეოდალური ჯარის სტრუქტურას მოგვაგონებს.

— მაგრამ საქმე განა მარტო სამხედრო ხელოვნების დაუფლებაშია, — ჩვენს საუბარში იქვე მდგომი მანდილოსანი, განთიადელი ნუნუ ლობჟანიძე ერთვება,— არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს და საფუძვლად უდევს სამხედრო ფორმირების ძლიერებას, ეს გახლავთ თითოეული მეომრის ზნეობრივი სრულფასოვნება. სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი გვარდიელების გარკვეული ნაწილი სამაროდიოროდ ჩამოვიდა აფხაზეთში. ამბობენ, რომ მათ დიდძალი ფული გამოძალეს აფხაზეთის სომეხ მოსახლეობას. შედეგი? შედეგი ისევ ჩვენ ვიწვნიეთ — იქაურმა ქართველობამ. ჩვენი გუშინდელი ტკბილი მეზობელი სომხები ლამის მტრად გადაგვეკიდნენ. თუ ასეთ შემთხვევებს მართლა ჰქონდა ადგილი, საჭიროა უსწრაფესი გამოძიება და ჩვენი პატიოსანი, სამშობლოსათვის თავდადებული ჯარისკაცის შემარცხვენელი და ჩირქის მომცხები გარეწრების გამომჟღავნება და საკადრისად დასჯა.

— გვიან არის ახლა თითზე კბენანი, — მეუბნება ჩემს წინ მდგომი ახალგაზრდა ქალი, ლესელიძელი ლალი ჭანტურია, — ხმა მაშინ უნდა ამოგვეღო, როცა აფხაზეთის პარლამენტში ერთი აფხაზი დეპუტატის ასარჩევად საჭირო იყო ამომრჩეველთა სამჯერ ნაკლები ხმა, ვიდრე ქართველი დეპუტატის ასარჩევად, ეს ხომ აფხაზთა აშკარა ეთნოდიქტატურა იყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მიმართ, სად ვიყავით მაშინ?

— ამ გახურებულ ომში ქართველი მოსახლეობა უიარაღოდ იყო, — საუბარში ერთვება გაგრელი დათო კოპალიანი, — შემოვიდნენ აფხაზები გაგრაში და უამრავი იარაღი გამოიტანეს საწყობებიდან. ვისთვის იყო ეს იარაღი დამალული, ვის უმალავდნენ, ქართველებს? ღალატი იყო გაგრაშიო, — აცხადებენ. როდის გავიგებთ მოღალატის სახელს? დავიღალეთ ამდენი ბნელით მოცული კითხვებისაგან.

— თუ იტყვით, ჩემო ბატონო, ისიც აუცილებლად თქვით, რომ ან არ უნდა შემოსულიყო ჩვენი ჯარი აფხაზეთში, და თუ შემოვიდა, არავითარი უფლება არ ჰქონდა მოსახლეობის ასეთ დღეში ჩაყრისა, — მეუბნება ხანდაზმული კაცი, რომელმაც გვარის დასახელება არ ისურვა.

გასაგები მიზეზების გამო არც იმ აფხაზთა გვარების დასახელება ისურვეს ჩვენმა თანამოსაუბრეებმა, რომლებმაც მიუხედავად საშიშროებისა, მალულად გამოაპარეს ქართველები სამშვიდობოს, არა, არ იყო ეს ომი აფხაზი ხალხის ნება!

თავდაპირველად ლტოლვილები პლასტუნკელ ქართველებს შეუფარებიათ, დიდი სითბო და ყურადღება გამოუჩენიათ. ისინი რომ არა, იქნებ ვერც ჩამოგვეღწია, აქამდეო, — გვითხრეს.

— აქ ჩვენ სამხედრო წვრთნას გავდივართ, — ამბობს ლიძაველი ვოვა ჭყოიძე, — მალე დავბრუნდებით აფხაზეთში და ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენს მიწა-წყალს...

ამასობაში დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ლტოლვილებს სადილზე დაუძახეს...

მძიმე განცდებით წამოვედით „ივერიიდან". თითქმის ვერც ერთ მათგანში, ჩვენდა სამწუხაროდ, იმედის ნაპერწკალიც ვერ შევნიშნეთ. — მართლაც და, რა ხდება ჩვენს თავს. მტერი გვიტევს, შიმშილი და სიცივე კარს მოგვადგა. პარლამენტის სხდომებზე კი ჯერაც არ იგრძნობა, რომ განსაკუთრებული, საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს. ამბობენ ლტოლვილები.

ეგებ ბატონ ედუარდ შევარდნაძის აფხაზეთში მორიგმა ჩასვლამ ნათელი მოჰფინოს ამ კითხვებს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ლოდინისა და ზოზინის დრო აღარ არის. ხალხიც და ქვეყანაც გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვს.

ვითომ შერიგებას ქადაგებს ოსური მხარე
სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გერბი?!

გურამ პავლიაშვილი.

როგორც გაზეთი „იუჟნაია ოსეტია" (22.X.92) იუწყება, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო და დაამტკიცა სახელმწიფო გერბი.

გერბის ავტორები არიან მეცნიერი მუშაკი, არქეოლოგი დიმიტრი მედოევი და მხატვარი ტამერლან ცხოვრებოვი.

რას წარმოადგენ იგი?

გერბი წრისებრი ფორმისაა, ზემო ნაწილში ოქროს ფიალაა გამოსახული, საიდანაც ამოდის მზის დისკო, როგორც ავტორები გვამცნობენ, იგი თეთრ-წითელ-ყვითელ-იისფერი ეროვნული დროშის ფერია. გერბის ცენტრალური ფიგურაა ფრთაგაშლილი ოქროსფერი მთის არწივი, რომელსაც მარჯვენა კლანჭში ბრინჯაოს ცულისთვის ჩაუვლია, მარცხენა მუხის რტოს, სვიისა და თავთავისათვის.

გერბს წრიულად გასდევს ორენოვანი წარწერა — ოსური (ლათინური გრაფიკით) და რუსული: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა".

როგორც ვთქვით, გერბში არწივი მთავარია. ეს ფრინველი, როგორც ავტორები გვარწმუნებენ, ლამის ოსური სიმბოლო ყოფილა, რომელიც თურმე ოსებთან ძველი ინდოარიული იდეოლოგიიდან და ნართების ეპოსიდან მოდის.

ავტორთა თქმით, გერბის იდეური შინაარსი გამაგრებულია ფრანგი მეცნიერის დიუმეზილის მიერ შემუშავებული ოსური საზოგადოების — სკვითური, ალანური, ნართული სამფუნქციონალური დაყოფის თეორიით, აგრეთვე ჰეროდოტეს ლეგენდებით, ოსური ორნამენტებით, ყობანური ავტორები რატომღაც წერენ— ყაბანურიო) კულტურის „ნივთმტკიცებებით".

ახლა ვნახოთ, გერბის ერთი მთავარი კომპონენტი, ე. წ. ყობანური ცული, არწივი რომ კლანჭებით ჩაჭფრენია, მართლაც ალანურია თუ არა.

გერბის ავტორები მზად არიან სული ეშმაკს მიჰყიდონ, ოღონდ ეს ასე იყოს. „კავკასიაში ორი ხალხის ინდოარიული ფესვები სკვითამდელ პერიოდს აღწევს. — წერენ ისინი, — ცული კი უფრო ძველია, „კლასიკური". ამ ჟღარუნა სტრიქონების შემდეგ ირკვევა, რომ ყობანური ცული სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო არქეოლოგიაში კარგად ცნობილი კოლხური ცული, ასეთია ამ საკითხზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების აზრი.

საინტერესოა, რომ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე კოლხური ცულის ყველა ფორმაა მიკვლეული, მათ შორის ყობანში აღმოჩენილი ცულის ვარიანტიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ცულების სამშობლო კოლხეთია.

ასე რომ, ოსებს შეიძლება იმდროინდელი ფესვებიც ჰქონდეთ, შესაძლოა ისინი ინდოარიული მოდგმისანი არიან საყოველთაო ღიმილს იწვევს მათი სწრაფვა განსაკუთრებული რასობრივი წარმომავლობისადმი, მაგრამ ცული კი გერბზე გამოხატულ არწივს რომ კოლხური კულტურიდან „აუწაპნია" ეს ცხადზე ცხადია.

ამ დღეებში სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო მემორანდუმი „საზღვრების შესახებ". მე მაშინ „საქართველოს რესპუბლიკაში" ვწერდი, რომ ვიდრე გვიან არ არის, ცხინვალის ზოგიერთი ხელმძღვანელის ავადმყოფურ ამბიციებს ეგების რამე ვუშველოთ, თორემ თუ ის ესიზმრათ, რაც უკვე ელანდებათ, საქმე ერთობ გართულდება-მეთქი.

აკი რთულდება კიდეც. გუშინ საზღვრები, დღეს — გერბი, ხვალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია უპირველეს ყოვლისა

იზა ორჯონიკიძე

ლექსები ციკლიდან „მხოლოდ შენ ერთს"

იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე,
თუ არ ძალგიძს
ქალისთვის ბრძოლა,
სამშობლოსთვისაც
ვერ გაირჯები —
იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე,
ათავისუფლე მამული და
მეც მომეშველე,
მამაკაცური მძიმე ტვირთი
ჩამომხსენი და
ჩემს ქალურ წიაღს დამაბრუნე —
სიცოცხლისათვის —
მე უნდა ვზიდო
ჯვარი შენი უკვდავებისა!
იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე;
საკუთარი ქალობისადმი
მაგრძნობინე პატივისცემა,
განმაცდევინე ქვეყნად
ქალად დაბადების მშვენიერება,
სულისწამლები სიხარულით
დამაჯილდოვე...
იომე ჩემთვის!

●

მღერის სულიც და
მღერის სხეულიც,
მღერის ჩემს ყელზე
შემოხვეული
შენი სუნთქვის და
სურვილის ქარი...
მღერის სიჩუმის
ოქრო და ზარი,
გული და გულის
ძარღვი მთავარი...
აბსადე ჩემს სახლს
შავი ყვავარი.
გამოულოცე,
ჯადო ახსენი,
გვედრებ,
ნურაფერს ნუ შემახსენებ,
მომეპატრონე
და... დამიყვავე,
მომაგონე, რომ
სატრფო ვიყავი...

●

გაიხურე კარი!
არაფერი მწყინს.
შენ ქარი ხარ, ქარი,
ვინ დაგამწყვდევს შინ?!
ვინ დაგიშლის ქროლვას?!
ალბათ სადღაც ღვივის
ქარის მომლოდინე
ღვთაებრივი სხივი...
შეუბერე სული
ლადარს — ნაცარწაყრილს,
ჩამოათბე ჩემი
გათოშილი სახლი
მომეჩვენე როგორც,
გაჰქრი ისე უცებ...
მე წამოვკრეფ ნოხზე
გადაფრენილ ფურცლებს...

●

ჩაჩურჩულებენ შენი თითები,
ჩაჩურჩულებენ დაუღლელად,
სულმოუთქმელად.
უღერს ჩემი გული.
ვით საკონცერტო როიალი
თავგადახდილი,
ჩურჩულებენ შენი თითები...

●

ტანზე მაყრია
ვარდის ფურცელი,
ვარდის ფურცლებზე
ვწევარ და ვარდი,
ვარდი მახურავს...
შენ ჩემი ხელი
ორთავ ხელით
ისე გიჭირავს,
სიკვდილი მინდა...

●

მოდი,
მთვარე დავაბრუნოთ ლექსში,
მე და შენი
დაუმცხრალი მთვარე.
ვარდის ტოტზე
ბულბულები კვნესდნენ
და გიტარაც
ავატირეთ ზარებ..
მოდი,
წამით შევეკედლოთ
სხვა დროს,
გარდასულს და
გულუბრყვილოდ წმინდას,
დავაბრუნოთ გაცრეცილი კადრი
უნაპირო სიყვარულის მხრიდან...
თეთრ კაბაზე
შემაწყვიტე ლილი,
ეგებ, მოვრჩე, —
უცებ მოვკვდე ეგებ,
გაბრწყინდება თითზე
ოქრო თბილი,
თვალს დავხრი და
ბაგეს მოგაგებებ...
მოდი,
ერთად გავიცინოთ მერე,
იმ ზღაპარზე,
მე რომ შენთვის ვწერდი...
აივანზე წვრილი წვიმა მღერის
და აღარც ჩანს
თრიალეთის ქედი.

●

ნუ მეტყვი სიტყვას,
შენ რომელსაც სულს ვერ ჩაუდგამ.
—სიტყვას, — შენ იცი, —
როგორ ვგრძნობ და
როგორ განვიცდი —
სიტყვა ჩემთვის
მუდამ საქმეა!
სიყვარულიც საქმე გახლავს
უძვირფასესი,
ისეთი საქმე
ყველას რომ არ ხელეწიფება!
ნუ მეტყვი სიტყვას,
შენ რომელსაც სულს ვერ ჩაუდგამ!
მატრობელაა განწყობილება,
წრფელ ექსტაზში დაცდენილ სიტყვას
წონა არა აქვს,
ყურს კი ტკბილად ელამუნება,
მერე იმ სიტყვებს როგორ ვიზოგებთ,
როგორ ვმარცვლავთ.
თან ცრემლს ვაყოლებთ...
ნუ მეტყვი სიტყვას,
შენ რომელსაც სულს ვერ ჩაუდგამ!

●

როგორ მინდა
უცნობები ვიყოთ,
კიდევ ერთხელ
მინდა გამაბრიყვო,
მინდა შეთვრე
არყით ორჯერნახადით,
შენს უბადლო
თავხედობას ვნახავდი...
მინდა ისევ
უმწეომ და ხათრომ —
ყველაფერი
შენს მკლავებზე დავთმო.

●

ღვინობისთვეში
ტყეებს ქვემო ქართლის
თავს ბაჯაღლო
გადაავლო ლბილა,
ვით ხმა,
მანგის მოულოდნელ ნლართებს,
მისდევს გული
მიუდგომელ ბილიკს...
დილის ვარდი
თრთის და
ცვარ-ნამს აკმევს,
საღმრთო ნათელს
იფენს გარეშემო,
გაიღვიძე,
გადმოადექ სარკმელს.
გაიღვიძე,
სიხარულო ჩემო,
გამოენთე
ლეგა ღრუბლის ნახევს,
ჩირგვის ჩიტის
მოუსმინე ჟივილს,
გაიღვიძე,
შემომხედე,
მნახე,
შემოსილი უკვდავების სხივით...

●

მოგონებას ძვირფასს
თბილი ადევს ფერი,
მშვიდად ნაღვლიანი
მელოდიაც ახლავს...
გულს აწუდება ბანგი
შენგან დანამღერი,
როგორც დიდი თოვლი
შემოდგომით ნახნავს...
წვიმს. არც გადაიღებს.
წვიმის სიმშა იცის
საკვირველი ჟღერა
სული იძვრის როცა...
მანამ ქართლის ზეცა
ღრუბელს გადაიცლის,
მე მინდოდა შენთვის
ეს დღე მომელოცა...

●

სულ მეშინია
არ წამომცდეს შენი სახელი...
არ შეიძლება აქ სიყვარული, —
აქ სიცოცხლე არ შეიძლება!
გამაგებინეთ, რით გიდგათ სული?!
სხვათა კარის პეპრუტანებში
დღენიადაგ თვალშერჩენილებს
რა უნდა გითხრათ?!
სანუკვარი როგორ გაგანდოთ?!
ამ ქვეყანაში თუ იცის ვინმემ,
რომ თუ სდუმს სული,
სხეულის ყველა ალტკინება
უდღეური ჩვილივით ქრება!
განა თქვენს შვილებს
არ ატყვევთ უსულგულო უღლის მებედი?
მერე გიკვირთ, იმრავლათ
კაენის ცოდვამ!
სულ მეშინია
არ წამომცდეს შენი სახელი...
ვის, ვის გავანდო,
რომ გეკუთვნი მთლიანად და
უანგაროდ,
რომ შენ ხარ ჩემი წილი მაერი
და შენ რომ არა, ამ ციხიდან
ისე უნდა გავსულიყავი,
ვით მოჭიდავე, რომელსაც ერთი,
ერთი ბრძოლაც არ წაუგია!
ო, შენ რომ არა,
ვინ მეტყოდა მარტოობის გაბმულ ღამეში,
რომ ჩემს ბაგეს
ასდის თურმე ფიჭვის კვის
უცხო სურნელი...
სულ მეშინია
არ წამომცდეს შენი სახელი...

●

ცოტა ხნით
თვალი მოარიდე
ქვეყნის სანაგვეს...
ზურმუხტისფერი
გიწევს ფერხთით
მშვიდი არაგვი,
სახსახებს წყალი,
ტყისპირი და
ნაპირის ხავსი,
გზა-გაფრენილი
ქროლვის ქარით
შენს უბეს ავსებს,
ჩამოდის სხივი,
გადამალულ სევდას ერევა,
ვუსმენ შენს ალერსს
და... საშინლად
ბედნიერი ვარ...

●

მიადექ ნაპირს!
მადლობა ღმერთს,
რომ სული მიგყვა!
ერთგულესი
შეგრჩა მხოლოდ
სიტყვა და სიტყვა...
ბრიყვებს ჰგონიათ მეტაფორა —
„ქვის სახთუმალი",
ახლა გაჩუმდი.
ამ უღმერთო,
ხალხს დაუმალე
ორი ფინჯანი,
მაგიდაზე
პირისპირ მდგარი!
დაუშვი ფარდა
ურდულებით ჩაკეტე კარი,
მიიღე ჯილდო,
მართალთათვის, უზენაესის...
და საოცარი...
მოისმინე შენი დაისი!

●

ხომ მომერიე,
ხომ აღარც ვიბრძვი,
ხომ შემომხვიე
ცეცხლის ხელები.
ხომ არაფერი
არ გენაღვლება,
არც გემძიმები,
არც გეძნელები...
სიკვდილმისჯილი
და ბედნიერი.
უმისამართო
შენს გზებს გავცქერი...
ო, შენი მზერა
მუდამ მშიერი,
მუდამ მშიერი,
და.. ალმაცერი!

●

ჯერ წამოგყვები ეკლესიაში,
მერე მოვკვდები და
დავმშვიდდები!
მღერის სულით ეკლესიასი,
ხშირი სტუმარი
ჩემი სიზმრების...
ო, როგორ მიყვარს
სარკმლის მინაზე
წუხელ გაბმული
წვიმების ლარი,
შენი სიცილი,
შენი სინაზე
შენი ლამაზად
გაშლილი მხარი...
მღერის ელვარე ეკლესიასი, —
განუყრელი და ჩვენი შეხამე...
შენ წამოგყვები ეკლესიაში,
შენ წამოგყვები,
შენი კვნესამდე!

1992 წლის გიორგობისთვე.

მადლიერების სამკუთხედი: გორი—სოხუმი—ერევანი

გურამ ვაშაკიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

წერილმა, რომელიც გორში „საქართველოს რესპუბლიკის" საკორესპონდენტო პუნქტში მოვიდა, მადლიერების სამკუთხედად შეკრა ამიერკავკასიის ორი სახელმწიფოს სამი ქალაქი: გორი, სოხუმი, ერევანი.

„ჩემი ბიძაშვილი ლალა ნინუა და მისი ქალიშვილი თამრიკო სოხუმში ცხოვრობენ, — გვწერს ერევნიდან ცნობილი „მასისის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე სვეტლანა მანთაშევა, — მოგეხსენებათ, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი გარეშე ძალები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად რა ბარბაროსობას სჩადიან აფხაზეთის მიწაზე. შიშითა და სასოწარკვეთით ცხოვრობს სოხუმიც. ბანდიტობა, კაცისკვლა, მაროდიორობა, ადამიანები შიშით გარეთ ვეღარ გამოსულან და მაინც იძულებული ხარ ბაზარში წახვიდე, პურის რიგში ჩადგე...

ამას წინათ, უკვე შებინდებისას, ჩემი ბიძაშვილი და მისი ქალიშვილი შინ ბრუნდებოდნენ. მოულოდნელად, დედა-შვილს ქუჩაში ორი ბანდიტი გადაუდგა — იარაღის მუქარით წაართვეს ფული, ოქროს ბეჭედი, საყვიმარი ლაბადა, ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს.

ბედად, ამ დროს მოსახვევში სწრაფად მომავალი ახალგაზრდა გამოჩნდა, კიდეზე აკრული ქალები რომ დაინახა, სიტუაციას ჩახედა, უშიშრად მიეჭრა ბანდიტებს და თვალის დახამხამებაში ორივე განაიარაღა. იგი აღმოჩნდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გორის ბატალიონის მეთაური პაატა ბედიანაშვილი.

გთხოვთ, ჩემი სოხუმელი ბიძაშვილის, ჩემი და ჩემი ერევნელი ნათესავების სახელით მადლობა მოახსენოთ გორის ბატალიონის უშიშარ მეთაურს ბატონ პაატას, გადაეცით ჩვენი დიდი მოკითხვა..."

მართალი გითხრათ, პაატა ბედიანაშვილის შესახებ ადრე არაფერი მსმენოდა, მაგრამ „კვალზე" მალე დავდექი.

— პაატა ჩვენი შინაგანი ჯარების ცნობილი მეთაურია,— მითხრა გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ვალიკო დოლიაშვილმა, — იგი კადრის ოფიცერია, ამ ხუთი წლის წინ დაამთავრა ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო პოლიტიკური სასწავლებელი და მას შემდეგ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტრუქტურებში მსახურობდა. საქართველოში ეროვნული გვარდიის ფორმირება დაიწყო თუ არა, პაატა სამშობლოში დაბრუნდა და სახარისო შენაერთების მშენებლობაში აქტიურად ჩაება.

— კარგად მახსოვს პაატა ბედიანაშვილისა და მისი ბატალიონის თავდაცვითი პოზიციები ცხინვალის მოსაზღვრე ქართულ სოფლებში — ერგნეთსა და ქვემო ნიქოზში, — ტელეფონით დამირეკა გორის რაიონის ფხვენისის საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორმა ვასილ ბიბილურმა,— მაშინ ბატალიონი ქართულ მოსახლეობას ოსი ექსტრემისტების თავდასხმებისაგან იცავდა.

ცხინვალში მალე სიმშვიდე ჩამოვარდა, მაგრამ ოსი ექსტრემისტები პაატას ბატალიონის ბიჭებთან შეხვედრას მაინც ვერ გაექცნენ. ამჯერად უკვე აფხაზეთში...

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩადგნენ გორის ბატალიონის მებრძოლები ქვემო ეშერაში და სამი კვირის მანძილზე, ტყვიის წვიმაშიც კი ფეხი არ მოუცვლიათ იქიდან, არადა, ბრძოლები ყოველდღე მიმდინარეობდა. ფრჩხილი არ გაკაწრიათ პაატა ბედიანაშვილის მებრძოლებს, იარაღი კი არა, ვაზნა არ დაუკარგავთ, არავის უთხოვია ზურგში, თუნდაც მცირე ხნით, დაბრუნება. შემდეგ ბატალიონი სოხუმში გადმოიყვანეს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დასაცავად, კრიმინალური ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პაატა ბედიანაშვილი დღესაც აფხაზეთშია. და რა თქმა უნდა, არაფერი იცის ერევნიდან გორში გამოგზავნილი სამადლობელი წერილისა, ისევე, როგორც იმ ბარათისა, ამ დღეებში რომ მოვიდა გორის გამგეობის სახელზე.

„ქ. გორის გამგებელს ბატონ ვალიკო დოლიაშვილს.

სიამოვნებით გაცნობებთ, რომ შინაგანი ჯარების გორის ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ თავისი მამაცი და პერსპექტიული მეთაურის პაატა ბედიანაშვილის ხელმძღვანელობით, სოხუმის რეგიონში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოავლინა ქართული ტრადიციული პატრიოტიზმის სახასიათო მხედრული თვისებები, რითაც ოქროს ფურცელი ჩაწერეს ქართული არმიის შექმნის მატიანეში.

ბატალიონის მეომრებმა, მიუხედავად მისი არსებობის მცირე დროისა, მძიმე პირობებში, ფრონტის წინა ხაზზე გამოავლინეს მაღალი რაინდული სული, მამაცობა, გამბედაობა და თავდადება, რითაც დაიმსახურეს ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო ნაწილის სახელი.

შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა მადლობას გიხდით გორის გამგეობასა და ქალაქის საზოგადოებრიობას იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რომლებმაც განაპირობა ჩვენი ბატალიონის ღირსეული საბრძოლო მომზადება.

შინაგანი ჯარების ნაკრები რაზმის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ტ. იმერდავა,
შინაგანი ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი პოდპოლკოვნიკი რ. ნიორაძე".

როგორ უნდა გავიგოთ ეს კაზუისტიკური მსჯელობა, თუ არა ისე, როგორც ბინძური ცილისწამება?

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბ-ნ ვახტანგ რაზმაძეს

სამშობლოსათვის ამ ურთულეს პერიოდში, როდესაც ისედაც უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებით გამწვავებულია საომარი მდგომარეობით, როდესაც ყველა ჩვენგანის ძალისხმევა მიმართულია მათი გადაჭრისაკენ, იძულებული ვხდებით, ვუპასუხოთ ზოგიერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა ამ ბოლო დღეების დემარშებს.

მხედველობაში გვაქვს ის ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც არც თუ ცივილიზებული მეთოდებით, აშკარად თუ შეფარვით დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, დეპუტატმა ი. სარიშვილმა პარლამენტის სხდომაზე და გააგრძელა ყოველკვირეული გაზეთის — „7 დღე" — ფურცლებზე (1992 წლის № 41 (78) 12-18 ნოემბერი) ინტერვიუთი.

ალბათ არ ღირს იმის მტკიცება, თუ რაოდენ არაკორექტული და არაეთიკურია ხანგრძლივი დებატების შედეგად სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე უკვე არჩეული პიროვნების ღირსება-ნაკლოვანებებზე კამათის გაგრძელება პრესაში. მაგრამ როდესაც ამას აკეთებენ ისინი, ვისაც მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია ეკავა ამ პიროვნების მიმართ და ვინც დაჟინებით ცდილობს საკუთარი მოსაზრებები თავს მოახვიოს ფართო საზოგადოებას, ეს უკვე შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად, იმის ცდად, რომ გაღვივდეს ეჭვი და უნდობლობა ამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ.

სხვა ვერაფრით აიხსნება ის აშკარა ტენდენციურობა, და, პირდაპირ ვიტყვით, ცილისწამება, ის ფაქტობრივი და ლოგიკური შეუსაბამობანი და წინააღმდეგობანი, რომლებიც ზემოთ დასახელებულ პუბლიკაციაში აშკარად ვლინდება.

დავიწყოთ იმით, რომ რესპონდენტი რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმების, კერძოდ, პრივატიზაციის ჩატარების პრაქტიკის საწინააღმდეგოდ მიმართულ მთელ თავის კრიტიკულ პათოსს წარმართავს არა ამ პროცესის ორგანიზატორების საწინააღმდეგოდ, არამედ მთავრობის იმ წევრთა მიმართ, რომლებსაც ამ პროცესის განხორციელება უშუალოდ არ ევალებათ.

ცნობილია, რომ ეკონომიკური რეფორმების პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტა მინდობილი აქვთ ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბსა და სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს, რომლებთანაც უნდა გარკვეულიყო პრეტენზიების საფუძვლიანობა.

რა არის ამის მიზეზი? არცოდნა, გულმავიწყობა თუ შეგნებულად თვალის დახუჭვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აიგებოდა ის „კონცეფცია", რომელიც თურმე მთავრობის მიერ მაფიოზური კლანებისათვის მხარდაჭერაში ვლინდება; მაშინ დაირღვეოდა სიმპათია-ანტიპათიის ბალანსი, რომელიც აშკარად ტენდენციურია გარკვეულ პიროვნებათა სასარგებლოდ, და რომელთა გვარების დასახელება ამ დანაშაულებრივ ალიანსში ხელს არ აძლევდა.

კონკრეტულად რა ბრალდებაზეა საუბარი? ლაპარაკია კლანურ დაპირისპირებაზე, რომელიც „აშკარად შეიმჩნევა" და რომლის გამომწვევი მიზეზი ყოფილა ის, რომ „თითქმის ყველა მსხვილი საწარმო გაყიდულია". მაგრამ ი. სარიშვილი ვერ ასახელებს და ვერც დაასახელებდა საწარმოთა ყიდვა-გაყიდვის ვერცერთ ფაქტს, რადგან საქართველოში ჯერჯერობით არცერთი ობიექტი არ გაყიდულა.

ვის სდებს ბრალს ქ-ნი ირინა სარიშვილი? ერთი შეხედვით თითქოს მთელ მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ გარკვეული აქცენტებით. ბრალდება იმდენად მძიმეა, რამდენადაც უპასუხისმგებლო და უსაფუძვლო. ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მას პასუხი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ი. სარიშვილი ამავე მეთოდით ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი და საკუთარ ეჭვებს ჭეშმარიტებად, სასურველს რეალობად წარმოგვიდგენს. ამის დამადასტურებელია მტკიცება, რომ თითქოს პრემიერის კანდიდატურის დასახელებით „უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა თვით შევარდნაძეც. პირველ დღეს იგი არ ელოდა ასეთ ჩავარდნას. თანაც მისი მხრიდან პასიურობა იმას ნიშნავს, რომ სიგუას დასახელება იძულებითი იყო".

რა უდევს საფუძვლად პარლამენტარის ამ „მტკიცებებს", რა რეალური ფაქტებიდან, რა კონკრეტული ანალიზიდან ამოდის?

არავითარი კონკრეტიკა ამ „ანალიტიკაში" არ დევს.

სამაგიეროდ არის კატეგორიულობა და დემაგოგია.

ი. სარიშვილი ისე, თითქოს ვინმეს იოტისოდენა ეჭვი ეპარებოდეს საწინააღმდეგოში, განაცხადებს, რომ „შევარდნაძე ამ მაფიურ კლანებთან ალიანსში არ შედის". მაშ ვინ? ავტორი „მიგვახვედრებს", რომ ასეთი შეიძლება იყოს თენგიზ სიგუა, ვინც „დესტაბილიზაციის" ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო სახელმწიფო საბჭოში, ახლა პარლამენტში".

ავტორი იმუქრება სოციალური აფეთქებით; რომ აფეთქების მიზეზი ზემოთქმულის გამო შეიძლება იყოს სწორედ ეს „დესტაბილიზაციის ფაქტორი", მაგრამ ასე არ მოხდება, რადგან ხელისუფლებას იმდენად ნიჭიერი კაცი უდგას სათავეში, რომ საქმეს აქამდე არ მიიყვანს. ისევ პიროვნებათა დაპირისპირება. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ბევრია ამ მოკლე ინტერვიუში.

მაგრამ ი. სარიშვილი პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის დაპირისპირებასაც არ ერიდება, როდესაც აცხადებს, რომ „პარლამენტისთვის არ არის აუცილებელი მოიქცეს ისე, როგორც სახელმწიფოს მეთაური იქცევა". პარლამენტი, მისი მტკიცებით, „აირჩიეს იმისთვის, რომ მთავრობა შეეცვალა". ფრიად ორიგინალური შეხედულებაა პარლამენტის მოღვაწეობაზე. მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის არის, რომ თავის პასუხებში ი. სარიშვილი არა მხოლოდ არღვევს ელემენტარული ეთიკის ნორმებს, არამედ სიყალბეს და ცილისწამებასაც არ ერიდება.

ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „სიგუას კაბინეტიდან თანამდებობებზე დარჩენის მორალური უფლება არა აქვთ: ოთარ ქვილითაიას, ვაჟა ჯინჯიხაძეს, ნოდარ კაკულიას". მისი უპასუხისმგებლობა იქამდეც კი მიდის, რომ დაასკვნის — „ზემოთ დასახელებული პიროვნებების გამორიცხვის შემდეგ, სიგუამ, ძალიანაც რომ მოინდომოს, მაფიას ვერ შექმნის. მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ის, რაც მაფიას ეყრდნობა, შეიძლება დარჩეს".

როგორ უნდა გავიგოთ ეს კაზუისტიკური მსჯელობა, თუ არა ისე, როგორც ბინძური ცილისწამება?

როდესაც საქმე იქამდე მიდის, რომ პრესაში, საჯაროდ ჩნდება პუბლიკაცია, რომელიც შეურაცხყოფს ჩვენს პიროვნულ ღირსებებს, შელახავს ჩვენს მოქალაქეობრივ უფლებებს, როდესაც დემოკრატიისა და პლურალიზმის საფარით აშკარად გვწამებენ ცილს, იძულებული ვართ მივმართოთ რესპუბლიკის პროკურატურას, რათა მან მიუკერძოებლად და კანონთან სრულ შესაბამისობაში მოსთხოვოს პასუხი ცილისმწამებელს.

ოთარ ქვილითაია,
ვაჟა ჯინჯიხაძე,
ნოდარ კაკულია.
12.XI. 1992 წ.

მაგ სიმართლით გაგიმარჯოთ!

გამოვიდა ახალი რესპუბლიკური გაზეთი „სტუდენტური პარალელები", რომლის მიზანი გაზეთის მოწინავე წერილშივეა გამჟღავნებული: სიმართლე, უკომპრომისო ბრძოლა უზნეობასთან, დემოკრატიის დამკვიდრება, სწრაფვა საქართველოს სულიერი გამთლიანებისა, საზოგადოების ყველა ფენის თვითგანწმენდისაკენ, ახალგაზრდობის აზრი ჩვენს ცხოვრებაზე და მისი მონაწილეობა საქვეყნო საქმეებში. ასეთია სტუდენტური გაზეთის კრედო.

საქართველოში პირველი რესპუბლიკური სტუდენტური გაზეთის გამოსვლას მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე:

„მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ახალი გაზეთი ჩვენი სტუდენტობის ერთგული მეგობარი, მისი მოქირნახულე იქნება...

მე ყოველთვის მწამდა, მჯეროდა და დიდი იმედი მქონდა ჩვენი ახალგაზრდობისა, მათი გონიერების, წმინდა სულისა და ვაჟკაცური შემართებისა.

ასე მწამს, მჯერა და დიდი იმედი მაქვს დღესაც.

ამ რწმენით ვიცხოვრებ ხვალაც, ზეგაც...

გაზეთს კი უპირველესად სწორედ იმას ვუსურვებ, რომ ახალგაზრდობისადმი რწმენის ეს მძლავრი კედელი განიმტკიცებინოს თვით ახალგაზრდობაში, მთელ ჩვენს ერში".

გაზეთის ამ ნომერში დაბეჭდილია მისი რედაქტორის ანზორ თოთაძის ინტერვიუ „განდგომილ პოეტ" მუხრან მაჭავარიანთან. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

„დუმილი რეკავს!"

ანუ ხუთი შეკითხვა პოეტ მუხრან მაჭავარიანს

რედაქტორი: ბატონო მუხრან, ქართველი მკითხველისათვის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი ბრძანდებით. თქვენმა შემოქმედებამ უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული მოძრაობის განვითარებაში. თქვენ კი კარგა ხანია დუმხართ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს, ხომ ვერ გვეტყოდით რაიმეს ამის შესახებ?

მუხრან მაჭავარიანი: ორმოცი წელია ხმალი ქარქაშში არ ჩამიგია! როცა ყველას მუცელში ჰქონდა ენა ჩაგდებული, მე — ერთადერთი ვყვიროდი ჩვენი ერის უბედურებაზე! ეს დიდი გმირობა იყო მაშინ (ბევრი გიჟად მთვლიდა ჩემი ამ გაბედულების გამო)!

პარტიული, კომკავშირული და ლიტერატურული პრესა გააფთრებით მებრძოდა; სამსახურიდან მომხსნეს... სამშობლოდან გამასახლეს (ვგულისხმობ, ბულგარეთში ჩემს, სამწლიან, ვითომდა შემოქმედებით მივლინებას).

ეს კარგად ახსოვს ჩემი და ჩემი მომდევნო თაობის ბევრ წარმომადგენელს (ყოფილი პარტიული ფუნქციონერია იგი თუ რიგითი მკითხველი).

ჩემი ლექსები ხელნაწერებად ვრცელდებოდა საქართველოში...

1988 წელს, როცა ლაჩრებიც კი გამამაცდნენ, როცა დიდ ვაჟკაცობას აღარ საჭიროებდა ხმის ამოღება, მე ვთქვი:

გუშინდელს ჰქონდა უდიდესი
შეძახილს ფასი! —
ამაზრზენია
დღევანდელი ყეფა და რიხი! —
ხმის ამოღება
ვინაიდან ღირს მხოლოდ მაშინ,
აკრძალულია
როდესაც
იგი!

გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ; დამყარდა ქართული ხელისუფლება; აღსრულდა ჩემი დიდი ხნის ნატვრა; მე სევდიანი სიხარულით შევძახე:

ერი გაერდა!
ხალხი გახალხდა!
ვაი, დედასა, —
რა დროს აღარ ხარ!

ნაადრევი დამრჩა „ჰოპლა!"— ხანმოკლე გამოდგა ჩემი სიხარული!

მამულის მტრებმა იარაღით ხელში დაამხეს ეროვნული ხელისუფლება!

ქვეყანა მოიცვა ძალმომრეობამ!

განმეორდა 21 წლის ტრაგედია!

ამის შესახებ მე მთელი ეპოპეა მაქვს შექმნილი; აი, ერთი პაწია ლექსი იქიდან:

ვიხილე რახან მცირე ხნით,
რასაც ვნატრობდი დიდხანს!—
ამად მცირეხანს ხილულის
ხილვა ხელახლა მინდა!
მე მოვკვდე, ქვეყნად რაიმე
თუღა ვინატრო მეტი! —
მისი მეორედ ხილვისა
ღირსად თუ ჩამთვლის ღმერთი!

ახლა, თქვენ მეკითხებით, — რატომ დუმხართო?!

გიპასუხებთ: — ხანდახან დუმილი გაცილებით მეტყველია, ვიდრე ყვირილი!

იმასაც არ დაგიმალავთ, რომ თქმა სიმართლისა დღეს უფრო სახიფათოა, ვიდრე ამ სამი ათეული წლის წინათ იყო!

მაგრამ, ცხადია, სათქმელი მაინც უნდა ითქვას! —

ითქმის კიდევაც! —

აუცილებლად ითქმის!

რედაქტორი: თქვენ გარკვეულ პერიოდში პოლიტიკოსიც იყავით, რაც პოლიტიკას თავი დაანებეთ, ხომ არ შეცვლილა თქვენი შეხედულება?

მუხრან მაჭავარიანი: პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ; ვიყავი ქართველი!

— ვარ ქართველი!

ჩემი საესავი იყო სამშობლო!— არის სამშობლო! — ქართული საქართველო! — მიწიანა, კაციანა, ციანა!

საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან, მთელი ორასი წლის მანძილზე (წითელი რუსეთის მიერ მის ანექსიამდე, — აშკარად! — ანექსიის შემდეგ, — შენიღბულად) ყოველნაირად ცდილობდნენ ქართული ენის გადაგვარებას, ქართული სულის გალატაკებას, ქართული ენის დაკნინებას!

თითქმის მიაღწიეს კიდეც! —

განა ამჟამინდელი ქართველი ქართველია?!

არა!

განა ამჟამინდელმა ქართველმა იცის ყადრი საქართველოსი?!

არა!

რედაქტორი: იმ მრავალი კითხვიდან, რომლებიც ახალგაზრდობას აწუხებს, თქვენ თვითონვე ხომ არ გამოყოფდით რომელიმეს და უპასუხებდით?

მუხრან მაჭავარიანი: ახალგაზრდებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა აწუხებდეთ თავიანთი ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა!

— ის განუკითხაობა, რაც დღეს საქართველოშია!

რაღაც, ვერ ვატყობ, რომ ეს ასე იყოს!

ჩემთვის გაუგებარია, ჩვენი ახალგაზრდობა ვერ ხედავს, — რა ხდება, თუ შიშის გამოა გატრუნული?!

რედაქტორი: თქვენ რომ დღეს ოცი წლის იყოთ, რა გზას აირჩევდით, როგორ მოიქცეოდით ამ რთულ ვითარებაში, ანუ რას ურჩევთ ახალგაზრდობას, როგორ იცხოვრონ, უპირატესად რა უნდა აკეთონ?

მუხრან მაჭავარიანი: სამოცი წლის კაცის გაჭაბუკება რომ შეიძლებოდეს (თავისი ორმოცწლიანი ცხოვრებისეული გამოცდილების შენარჩუნებით), — რა თქმა უნდა, დიდებული საქმე იქნებოდა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, — ეს შეუძლებელია!—

ხოლო თუ ამ გამოცდილებას გამოვრიცხავთ, — მაშინ, ადვილი შესაძლებელია, მეც ისე მოვქცეულიყავ, როგორც არაერთი ახლანდელი ოცი წლის ჭაბუკი იქცევა!

რაიცა შეეხება, იმას, — თუ როგორ უნდა იქცეოდეს და რას უნდა აკეთებდეს!—

თუ დამიჯერებენ, — ერთ რამეს ვურჩევდი მათ, — ეცადონ, მოერიონ საკუთარ თავს, ვინაიდან ყველაზე ძნელი დასაძლევი და ყველაზე დიდი მტერი ყოველი ჩვენთაგანისა საკუთარი თავია! —

გმირი იგია, ვინც თავის თავს აჯობებს (ნებისმიერ ასაკში! — მით უმეტეს, — სიჭაბუკის ჟამს)!

რედაქტორი: უახლოეს პერიოდში ხომ არ დაგიწერიათ ლექსი და თუ დაგიწერიათ, ხომ არ გამოაქვეყნებდით ჩვენს გაზეთში?

მუხრან მაჭავარიანი: ახალი ლექსები საკმაოდ მაქვს; მათგან რომელიმეს სხვა დროს მოგართმევთ.

ამჯერად კი, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ერთ, ოცდაათი წლის წინათ დაწერილ ლექსს შემოგთავაზებთ:

ხმას ამოიღებ, —
ვაია!
ჩუმად იქნები, —
უი!
ვინც ლაპარაკობს, —
ხომ ტყუის!
ვინც დუმს, —
ის უფრო ტყუის!

რედაქტორისაგან: ბატონი მუხრანის ეს ინტერვიუ მისივე სიტყვებით გვინდა დავასრულოთ:

„წარსული კარგი!
ძალიან დიდიც!
აუგი ვინ თქვა!
მაგრამ ერთს ვიტყვი,
პირდაპირ ვიტყვი:
გაწი გამოწი! —
დღეს რაც ხარ! —
ის ხარ!"...
„მოდის მერმისი!
ცოცხით ხელში —
მკაცრი და სუფთა".

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოლაპარაკება იტალიის დედაქალაქში

დასრულდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მიგელ ანხელ მარტინესის ოფიციალური ვიზიტი იტალიაში.

იგი შეხვდა იტალიის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებს ჯოვანი სპადოლინისა და ჯორჯო ნაპოლიტანოს, ევროპის საბჭოში იტალიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარეს ფრანკო ფოსკის, მინისტრებსა და სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელებს. მარტინესმა რომში განიხილა ევროპის საბჭოს რიცხობრივი შემადგენლობის გაფართოების, აგრეთვე სხვა ევროპულ სტრუქტურებთან, კერძოდ, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირთან, ამ ორგანიზაციის ურთიერთობის საკითხები.

ოთხშაბათს პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მიგელ ა. მარტინესმა, აღნიშნა, რომ ამჟამად ევროპის საბჭოში შედის კონტინენტის 27 სახელმწიფო. კიდევ 14 ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმაც, შეიტანეს განცხადებები ევროპის საბჭოში შესვლაზე. იტალიის წარმომადგენლებმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირეს მხარი ევროპის საბჭოს შემადგენლობის გაფართოების იდეას.

ვაშინგტონი შეშფოთებულია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეული ბილ კლინტონი ოთხშაბათს ტელეფონით ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კრავჩუკს. როგორც გამართულ ბრიფინგზე ბ. კლინტონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯორჯ სტეფანოპოლოსმა თქვა, უკრაინის ხელმძღვანელმა „გამოთქვა მზადყოფნა მოსპოს ან რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაიტანოს ბირთვული იარაღი, ამასთან წინასწარ მიიღოს კომპენსაცია რუსეთის მხარისაგან".

თითო აბზაცით

⊙ „ფრიად წარმატებული" უწოდა თავის ოფიციალურ ვიზიტს უნგრეთში რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ოთხშაბათს საღამოს გამართულ დასკვნით პრესკონფერენციაზე. როგორც მან თქვა „დაიწყო ახალი ეპოქა უნგრეთისა და რუსეთის ურთიერთობაში". უნგრეთის მთავრობის მეთაურმა იოჟეფ ანტალმა მთლიანად გაიზიარა საპატიო რუსი სტუმრის აზრი.

⊙ **რუსეთისა** და საფრანგეთის თანამშრომლობის ყველა ასპექტის განხილვა — ასე წარმოუდგენიათ საფრანგეთის დედაქალაქში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის საფრანგეთში სამი დღის ოფიციალური ვიზიტის ძირითადი ამოცანა, ვიზიტისა, რომელიც დღეს იწყება.

ეს ჩვენი საქართველოა!

აქ ტაძარი აშენდება



გუშინწინ შუადღისას თბილისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის (დირექტორი — ზაზა მარუაშვილი) ეზო და მისი შემოგარენი დიდი თავშეყრის ადგილად იქცა. აქ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საძირკველი ჩაეყარა ეკლესიას. მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ერთიანი ნებით წამოწყებული ეს მამულიშვილური საქმე უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს ყმაწვილების სულიერ აღზრდას და ზნეობრივ გასპეტაკებას.

ტაძრის პროექტის ავტორია არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ქველმოქმედება

წაიკითხეთ, ეს უბრალო სია არ არის!

ასოციაცია „კათარზისის" ცნობით, ფირმა „ლემიმ" სათნოების სახლს გადასცა 140 მამაკაცის ჯემპრი, ფირმა „ოქსინომ" — 37 დასახელების ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომლის საერთო ღირებულება 342 ათას 249 მანეთია, ფირმა „შოკმა" — 30 ათასი მანეთი საერთო ღირებულების სხვადასხვა ნაწარმი, ტრესტმა „საქტრანსმშენმა" — 50 ზეწარი, საიჯარო საწარმო „ვარაზისხევი-90"-მა — 20 წყვილი ქალის ფეხსაცმელი; მოქალაქე კაციაშვილმა — 10 დასახელების სხვადასხვა მედიკამენტი, თეთრიწყაროს რაიონის საავადმყოფოს თანამშრომლებმა — 19 დასახელების მედიკამენტი, მოქალაქეებმა: ქოჩეჩაშვილმა, ვაშაძემ, ძამაშვილმა, ტელატიანმა — 60 წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი, მოქალაქე ბადრი ძიძიშვილმა — 48 წყვილი ფეხსაცმელი, № 36-ე ატელიეს თანამშრომლებმა — 100 წყვილი ქალის ბოლოკაბა, მუსიკალური საზოგადოების საწარმოო კომბინატმა — 27 ათას 144 მანეთი ღირებულების 52 მამაკაცის ქურთუკი და შარვალი, კოოპერატივმა „ლაშა-მაიამ" — 41 წყვილი ქალის ფეხსაცმელი. თბილისის ჰიდრომედინსტიტუტმა კომბინიზონები, ქუდები, სამხედრო კომპლექტები და საყელოები, ფირმა „ლარსმა"—65 მამაკაცის ქურთუკი, გარდაბნის რაიონის სამხედრო განყოფილებამ — სხვადასხვა დასახელების ტანსაცმელი, თბილისის ტრიკოტაჟის ს/გ „ბახტრიონმა" — 1130 ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფირმა „ელიამ" 200 ქალისა და ბავშვის კოლგოტი, თბილისის აბრეშუმის გაერთიანება „ცისარტყელამ" — 379 ათას 822 მანეთის ღირებულების ქალის ბოლოკაბა, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკამ— 220 ბავშვის შარვალი, მოქალაქე ბერძენიძემ — 28 დასახელების მედიკამენტი, ფირმა „უნივერსალმა" — 28 წყვილი ქალის და 80 წყვილი მამაკაცის ფეხსაცმელი.

თსუ დოცენტებმა ზურაბ აბაშიძემ და ნოდარ ბელქანიამ სათნოების სახლს დაჭრილი მეომრებისათვის გადასცეს შვეიცარიული ქველმოქმედების: ბიზნესმენის ჰანს პეტერ შტოკის და არქიტექტორის თომას კრაიერის ნობათი: მამაკაცის ქურთუკები და შარვლები, აგრეთვე ტრიკოტაჟის სხვადასხვა ნაწარმი ლტოლვილთათვის.

დასახელებული მატერიალური ფასეულობები სათნოების სახლმა მიიღო 16 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით. ჯარისკაცებისათვის განკუთვნილი ნივთები ჩაბარდა ჭადრაკის სასახლის მიმღებ პუნქტს, დაჭრილ ჯარისკაცებს. საავადმყოფოებში დაურიგდათ სამოსი და მედიკამენტები, ლტოლვილთათვის განკუთვნილი დახმარების გაცემა მიმდინარეობს სათნოების სახლში (დავით აღმაშენებლის 121).

გარდა ზემოაღნიშნულისა, აფხაზეთიდან ლტოლვილებს სასოფლო-სამეურნეო ნობათი შეუგროვეს და გაუნაწილეს ახალქალაქის სოფელ კოთელიას მცხოვრებლებმა, ბოლნისის რაიონის განათლების სისტემის თანამშრომლებმა და აღსაზრდელებმა, თეთრიწყაროს რაიონის მცხოვრებლებმა.

აფხაზეთიდან ლტოლვილთა დასახმარებლად სათნოების სახლს თავიანთი პირადი დანაზოგიდან 5 000 მანეთი შესწირა მოქალაქე ალიკო დოლიძემ.

ასოციაცია „კათარზისი"

ანგარიში რა საკითხავია — მეგობრობამ გაიმარჯვა

გუშინ თბილისის „შევარდენის" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში თბილისის „შევარდენი-1906"-სსა და ერევნის „არარატს" შორის.

თამაში მოიგეს თბილისელებმა — 2:0.

მატჩის შემოსავალი გადაირიცხება საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდში.

იმედი სულ ბოლოს კვდება

ჩინეთის ქალაქ შანხაიში დასრულდა პრეტენდენტ ქალთა ტურნირის პირველი წრე. დასკვნითი ტურის პარტიები ასეთი შედეგებით დამთავრდა: პოლგარი — ჩიბურდანიძე — 1:0, იოსელიანი — ლევიტინა — 1:0, ვანგი — გაფრინდაშვილი — 1:0, მარიჩი — პენგი — 0,5:0,5.

ქართველ მსოფლიო ექს-ჩემპიონებს ბოლო შეხვედრებში ერთხანს უკეთესი პოზიციები ჰქონდათ, მაიამ მრისხანე უნგრელის შეთავაზებული ყაიმიც კი უარყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.

ბრწყინვალე მაჩვენებლით — 8-დან 7,5 ქულა — საშუალედო ფინიშთან პირველი მიიჭრა ჟუჟა პოლგარი, რომელმაც, თუ სასწაული არ მოხდა, შეიძლება ითქვას, გაინაღდა ფინალში თამაშის უფლება. 5 ქულა და მეორე საგზურისთვის ბრძოლაში უკეთესი შანსი აქვს იუგოსლავ ალისა მარიჩს, რომელიც, შეგახსენებთ, წინა ციკლის ფინალისტი იყო.

ვფიქრობთ, ჯერ არ უთქვამთ გადამწყვეტი სიტყვა მოსალოდნელზე სუსტად მოასპარეზე ქართველ დიდოსტატებს. მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ საკმარისი დისტანცია — 8 პარტია დარჩათ. მეორე წრის წინ მაიასა და ნანას 4-4 ქულა აქვთ, ნონას — 2,5.

ამჯერად პროფესიონალთა შორის

მორიგი წარმატება მოიპოვეს ქართველმა მკლავჭიდელებმა, ამჯერად პროფესიონალთა შორის ჟენევაში გამართულ ღია მსოფლიო ჩემპიონატზე.

2 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი სპორტის ამ პოპულარული სახეობის აღიარებული ლიდერების, ამერიკელების შემდეგ — ასეთია მათი ნადავლი შვეიცარიის სარბიელზე.

ორივე უმაღლესი ჯილდო ჩვენი გუნდიდან მისმა ყველაზე ტიტულოვანმა წევრმა — ზაურ ცხადაძემ დაიმსახურა უმძიმეს და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ ჯიმი მერაბიშვილი, სოფრომ სანთელაძე და დავით ჰელიძე, ხოლო მესამე პრიზიორები გახდნენ გელა ბეწუაშვილი, ზაზა ღუღუნიშვილი, გია ბაჩიძე და გია გვიჩიანი.

სასამართლო ქრონიკა

დამსახურებულად მიეზღოთ

იუსტიციის სამინისტრო გვატყობინებს

ქალაქ ქუთაისის სასამართლომ (მოსამართლე შალიკიანი, პროკურორი ვ. აფრიდონიძე) 1992 წლის 26 ოქტომბერს გამოიტანა განაჩენი ვ. ონიანისა და სხვათა მიმართ, რომელთაც ბრალი ედებოდათ, რომ ვ. ონიანმა 1992 წლის ივნისში შექმნა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი ს. დევდარიანის, ტ. ბაქრაძის, რ. კვიჟინაძის, ო. ნატარიძის და ამჟამად მიმალული ზ. ცინდელიანის შემადგენლობით. ისინი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე 1991 წლის 21 ივნისს 21 საათზე ტ. ბაქრაძის კუთვნილი ავტომანქანით მივიდნენ დაზარალებულ ვ. ქომეთიანის საცხოვრებელ სახლთან, საიდანაც გაიტაცეს ვ. ქომეთიანის ვაჟი — ირაკლი ქომეთიანი, რითაც ჩაიდინეს დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სსკ 133-ე მუხლით.

სასამართლომ დადასტურებულად ცნო განსასჯელთათვის წაყენებული ბრალდებები და თითოეულს განუსაზღვრა სასჯელის ზომა.

ონიანს — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, აქედან პირველი 2 წელი საპყრობილეში, 2 წლით გასახლება, ქონების კონფისკაციით;

დევდარიანს — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, აქედან პირველი 2 წელი საპყრობილეში, 2 წლით გასახლება, ქონების კონფისკაციით;

ბაქრაძეს — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, აქედან 2 წელი საპყრობილეში, 2 წლით გასახლება, ქონების კონფისკაციით.

კვიჟინაძეს — 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

ნატარიძეს — 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

ექსპრეს-ინფორმაცია

სწავლულთა წვლილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით ხახუტაიშვილის ცნობით, ინსტიტუტის 60-კაციანმა კოლექტივმა საქართველოს თავდაცვის ფონდში შეიტანა 30.000 ხოლო ლტოლვილთა დამხმარების ფონდში — 18.200 მანეთი.

ახალგაზრდული ხმები მწერალთა სასახლეში

საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში პოეზიის სექციამ გამართა ოთხი ახალგაზრდა ქართველი პოეტის საღამო, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ.

ოთხი პოეტი — ირმა შიოლაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ეკა ბაქრაძე და ბაჩუკი ჩაბრაძე წარსდგნენ მსმენელთა წინაშე და თავიანთი ხალასი და მოკრძალებული სტრიქონები აახმიანეს დარბაზში.

სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებს უკვე აქვთ საკუთარი ხელწერა, მრავალმხრივი თემატიკა, — ეს ყოველივე აღნიშნეს შეხვედრაზე მათმა უფროსმა კოლეგებმა.

მუსიკოსები მესხეთ-ჯავახეთში

მესხეთ-ჯავახეთის ქალაქებსა და სოფლებში მუსიკალური ტურნედან დაბრუნდნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები, პიანისტი ალექსი კვარაცხელია და მომღერალი მარლენ ადამაძე. ახალციხეში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში, ადიგენში გამართულ კონცერტებზე მათ შეასრულეს ქართული, დასავლეთევროპული და რუსული კლასიკის ნაწარმოებები. მაყურებლები ოვაციებით შეხვდნენ ბახის, ბეთჰოვენის, ჰენდელის, პერგოლეზის, ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ნაწარმოებებს, ოპერების „დაისის", „აბესალომ და ეთერის", „თქმულება შოთა რუსთაველზე", „ფაუსტის", „რიგოლეტოს", „სევილიელი დალაქის", და სხვა არიებს. კონცერტებისაგან მიღებული მთელი შემოსავალი შემსრულებლებმა აფხაზეთიდან ლტოლვილთა ფონდში გადარიცხეს.

— ჯარისკაცებს თაფლი აკლიათო — თქვა როსტომ ბახურაულმა

ამ საყოველთაო შეჭირვების ჟამს, როცა ჩვენს ქვეყანაში უკეთურება მომრავლდა, საბედნიეროდ კიდევ ცოცხლობს სათნოება და გულმოწყალება.

ამას წინათ შინაგანი ჯარების მთავარ სამმართველოს უჩვეულო სტუმარი ეწვია — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ღოუბნის გამოცდილი მეფუტკრე და ეროვნული მოძრაობის გულშემატკივარი როსტომ ბახურაული.

უჩვეულო სტუმარი, ვამბობთ იმიტომ, რომ ამ ღვთისნიერმა კაცმა შინაგანი ჯარების სალაროს ჩააბარა სოფელში თავისი ინიციატივით შეკრებილი 26 ათასი მანეთი, ხოლო, რამაც ყველაზე უფრო სასიამოვნოდ გაგვაოცა, ისაა, რომ მეფუტკრემ, რომელიც ინდივიდუალურად 180 სკას უვლის და თავისი მეთოდებიც აქვს შემუშავებული, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული ფუტკრის 80 ოჯახი შინაგან ჯარს და მის მეურნეობას საჩუქრად გადასცა.

ამიერიდან ეს მეურნეობა (დირექტორი რობინზონ ამირეჯიბი) გაუძღვება იმ შრომატევად საქმეს, ფუტკარზე მზრუნველობა რომ ჰქვია.

გაიხარებენ ახალმოსახლეობით

ცნობილია, რომ შარშანდელმა მიწისძვრამ დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონს. თერჯოლაში, მაგალითად, 702 საცხოვრებელი სახლი დაზიანდა, რომელთაგან 111 თავიდან შეიქმნა ასაშენებელი.

მიწისძვრამ, გარდა ამისა, დააზიანა 14 საშუალო სკოლა, 11 საბავშვო ბაღი და 16 სხვადასხვა სამრეწველო ობიექტი.

აღნიშნული სახლების და ობიექტების შეკეთებისა და ახლის აშენების დავალება მიიღო თერჯოლის რაიონის საქაგრომშენის № 69 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი — მევლუდ გოწაძე), რომელმაც შარშან სოფელ ძევრში, საზანოში, თერჯოლაში, ღვანკითში, სიქთარვაში და ეწერში აგო ახალი — 29, შეაკეთა 282 ნაწილობრივ დაზიანებული და 75 ნაკლებად დაზიანებული საცხოვრებელი სახლი.

სამშენებლო ორგანიზაციამ წელსაც არ შეირცხვინა თავი, რის მეოხებითაც ახალ ბინებში დასახლდნენ სიქთარველი ბერუაშვილების, ღვანკითელი ბუხკიაძეების, თერჯოლელი ფოჩხიძეების და ახალთერჯოლელი გურულების ოჯახები. მალე სხვებიც გაიხარებენ ახალმოსახლეობით.

თბილისი, ნოდარ გიორგაძეს

ძვირფასო თანამებრძოლო მეგობრებო, ძმებო! დავტირით ყველა ჩვენგანისათვის თბილისელ თანამებრძოლ მეგობრებს, რომლებიც თავიანთი ხალხის და სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლას შეეწირნენ. მათ კვლავ იტვირთეს ომის სიმძიმე მშვიდობიან ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად. ახლა მთავარია, არ გავბოროტდეთ, გვახსოვდეს, რა იმედის თვალით შემოგვყურებენ ჩვენი ქვეყნების ხალხები. თქვენთან გვიგულეთ თქვენს ბრძოლაში და უდიდეს მწუხარებაში.

ავღანეთის ვეტერანთა კავშირისა და რუსეთის ავღანელ ვეტერანთა კავშირის ცენტრალური გამგეობა.

საქართველოს ავღანელ ვეტერანთა კავშირს

ავღანეთის ომის ვეტერანთა ალმა-ათის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერნაციონალისტი მეომრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და გულწრფელად თანაუგრძნობენ ომში დაღუპულთა ოჯახებს და საქართველოს ყველა ავღანელ ვეტერანს ნუგზარ მიხანაშვილისა და კიდევ ხუთი ჩვენი თანამებრძოლი მოძმის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

მათი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში, ამ გლოვის დღეებში ჩვენ ყველანი თქვენს გვერდით გვიგულეთ.

ანდრია ბორისკინი, ზაიკალ ხამზინი, ოლეგ რუბეცი, ერჟან ახმეტოვი, ერმეკი და ქალაქ ალმა-ათის დანარჩენი 2,5-ათასივე ავღანელი ვეტერანი.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი (ფედერაცია) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის პრესსამსახურთან ერთად ყველა დაინტერესებულ ჟურნალისტს სასწრაფოდ იწვევს შიდა ქართლის რეგიონში არსებული სამმხრივი შერეული პრესცენტრის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ერეკლეს მოედანი 3, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი (ფედერაცია) ტელეფონები: 98-88-08; 98-24-47, ან თბილისი, რუსთაველის გამზირი 8, ტელეფონი: 99-95-05.

ცხონება

ამირან ავალიანი

ქართულმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო სწავლული ისტორიკოსი, პოპულარული პოლიტოლოგი, საერთაშორისო მიმომხილველი და საზოგადო მოღვაწე ამირან ავალიანი.

იგი კოლორიტულ პიროვნებად და პატრიოტ მოქალაქედ თბილისში ჩამოყალიბდა. თავისი გამოსვლებით რადიოთი, ტელევიზიით, პრესის ფურცლებზე მრავალი წლის მანძილზე იმსახურებდა საზოგადოების ყურადღებას, საოცარი უშუალობით, სისპეტაკითა და კაცთმოყვარეობით იხვეჭდა ავტორიტეტს.

ა. ავალიანი დაიბადა 1928 წელს ქ. სიღნაღში, 1945 წელს წარჩინებით დაამთავრა პირველი საცდელი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ეროვნული უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქეთის ისტორიის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კათედრის ასპირანტად ჩაირიცხა. 1961 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1957 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ათი წლის მანძილზე იყო ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

ა. ავალიანი იყო 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის სამი წიგნის ავტორი.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მამულიშვილი, რომელსაც ბევრი ჩანაფიქრი დარჩა ხორცშეუსხმელი, და ოჯახს, კოლეგებს, ახლობლებს დიდი გულისტკივილი დაუტოვა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

ჯამბაკურ ბაქრაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯამბაკურ ბაქრაძე.

იგი დაიბადა 1929 წელს ცნობილი ადვოკატის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1958 წლიდან საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრია, 1975-1980 წლებში მუშაობდა თბილისის საქარხნო რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგედ, არაერთგზის აურჩევიათ პრეზიდიუმის წევრად, 1991 წლის 21 თებერვალს არჩეული იქნა რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. 1968 წელს დაიცვა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. დაწერილი აქვს 48 სამეცნიერო ნაშრომი და მრავალი სოციოლოგიური გამოკვლევა. 1991 წლიდან შეთავსებით იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორის მოვალეობას ასრულებდა.

ბატონი ჯამბაკური გამოირჩეოდა საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულებითა და ჰუმანურობით, მისმა მაღალმა პროფესიონალიზმა ხელი შეუწყო მრავალი ახალგაზრდა ადვოკატის დაოსტატებას.

შესანიშნავი მოქალაქის, ბრწყინვალე ადვოკატის, მოსიყვარულე მეოჯახის და გულითადი მეგობრის ჯამბაკურ ბაქრაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება სამძიმარს უცხადებს საზოგადოების თავმჯდომარეს ბატონ ვაჟა ადამიას და მის ოჯახს დედის

თამარ მიხეილის ასულ ქაჩიბაია-ადამიას

გარდაცვალების გამო.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ შეიარაღებულ ჯგუფთა განუკითხავმა თარეშმა იმსხვერპლა კდპ-ს წევრი, საგურამოს ბატალიონის ოცეულის მეთაური

ზურაბ ჟილაშვილი

და თანადგომას უცხადებს დაღუპულის ოჯახს.

ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გარდაბნის საცდელი სადგურის დირექტორი

თენგიზ ერასტის ძე ალფენიძე,

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბაზრის კანონი—ჯუნგლის კანონი?!.

ანუ გამარჯვება თუ ჩერნობილი?

ზაურ მაკარაძე

ერთმა ახალგამომცხვარმა, მაგრამ საკმაოდ გათამამებულმა საქმოსანმა კერძო საუბარში ნახევარხუმრობით და ნახევარსერიოზულად მითხრა: ბაზრის კანონი ჯუნგლის კანონია, იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია, სუსტი, ბუნებრივია, მარცხდება, ღატაკდება და, რაც უფრო ღატაკია ხალხი, მით უკეთესი ჩემთვისო. თავიდან არ შევაქციე ყურადღება „ჯუნგლის მეფის", „ფატალური" სიტყვების აზრს. ფულიანი, მაგრამ უპრინციპო კაცის ახირებად, ამპარტავნობად ჩავთვალე. ახლა, როცა ცოტათი გონს მოვეგე, „ჯუნგლის კანონი" მეც შემეხო და ჩავუკვირდი ამ სიტყვებს, რაღაც უჩვეულო, მაგრამ საოცარი კანონზომიერება აღმოვაჩინე. რატომ უნდა აძლევდეს ხელს ჩვენს საქმოსანს ხალხის გაღატაკება? — ჯერ ერთი, ალბათ, იმიტომ, რომ ღატაკს არჩევანი არა აქვს, მეორეც, ის ადვილი „მოსაღუნია", ადვილი მოსატყუებელია — ისე შეიძლება გახადო შარვალი, სიტყვაც არ შემოგიბრუნოს, მესამეც, როცა ხალხი და ქვეყანა ღატაკია, საქმოსანი უკონკურენციოდ რჩება, კონკურენციისა კი, ოი, როგორ ეშინია ჩვენს გულთხელ ბიზნესმენს; მეორეც, ღარიბ-ღატაკ კაცს, რომელსაც ერთი კილოგრამი პურის ყიდვა უდიდეს გმირობად და „კაცობის" საზომად მიაჩნია, ხშირ შემთხვევაში, ცაში აჰყავს ის, ვინც უბოძა პური არსობისა და შვილები „შიმშილით დახოცვას გადაურჩინა". ამ დღიდან „საქმოსანი" ამ კაცის კერპია, საფიცარია, ქვეყნის მარჩენალია. საბოლოო ჯამში, ორივეს პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულია. ცხვარი და მგელი შესანიშნავად ახერხებენ თანაცხოვრების დიადი პრინციპის განხორციელებას.

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ილუზიაა, თვითდაჯერებული და რეალობას მოწყვეტილი კაცის სიზმარია. შეხედეთ ჩვენს სამომხმარებლო ბაზარს. რას გაგონებთ ის? — უკაცრავად შედარებისთვის, მაგრამ, ალბათ, დამშეულთა ხროვასაც, რომლებიც მთელი დღე და ღამე იმის ცდაში არიან, როგორ წაართვან ერთმანეთს დახრული, დაწუწნილი ძვალი. ჩვენი საზოგადოება უფრო და უფრო ემსგავსება კორიდას, სადაც სისხლიც მრავლად არის და ქვიშაც, სიავეცა და ბოროტებაც, მაგრამ არიან მეფეებიც, რომელთათვისაც ყველაფერი ეს გართობაა. საზოგადოების მოღვაწეობის ძირითადი დრო მოხმარების საგნებისა და საკვები პროდუქტების განაწილებაზე, უფრო სწორად, დატაცებაზე იხარჯება და არა წარმოებაზე. ეს ძალიან საშიშია.

წლობით ემზადებოდნენ ქვეყნები თავისუფალი ბაზრისათვის, კაფავდნენ „ჯუნგლს", ქმნიდნენ წარმოების საფუძვლებს, საკუთარ ვალუტას ან „უცხო", განვითარებული ქვეყნის მყარ ვალუტას სესხულობდნენ. დრომ დაადასტურა, რომ თავისუფალი ბაზრის მხოლოდ დეკლარირება და ფასების ლიბერალიზაცია პანაცეა არ არის. თუმცა ჩვენს მთავრობას დღესაც არ შეუმუშავებია საქართველოსთვის მისაღები ფორმით ამ ბაზრის მშენებლობის პროგრამა. მიმბაძველობა მაშინაა კარგი და მისაღები, როცა მიმბაძველს [illegible] ყველა თუ არა, ზოგიერთი ნიშან-თვისება მაინც აქვს. ხომ გახსოვთ ლამურას არაკი. ასე დაემართება ყველას, ვინც იმაზე მაღლა აჰტება, ვიდრე ამის ძალა შესწევს.

დააკვირდით ჩვენს რეალობას: ზოგი გეგმიანი ბაზრის მომხრეა, ზოგი — თავისუფლისა... გამოკვეთილი აზრი არ არსებობს. ფაქტობრივად კი, გაბაზრებული გეგმის, გაბაზრებული ბაზრის, ქაოსისა და ანარქიის პირობებში ვცხოვრობთ. ხშირად მიფიქრია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის სამხრეთკორეულ, ტაივანურ, თუნდაც ტაილანდურ ვარიანტებზე. მაგრამ არ გასულა წუთი და, წამიერი აღტაცება, მათი გამოცდილების საქართველოში დანერგვის სურვილი სასოწარკვეთით შემცვლია. ამ ქვეყნებს ხომ „წარჩინებული მამობილები" ჰყავდათ და თავადაც ცოტა „სხვა გორისანი" იყვნენ — კორეელები, ჩინელები... ამ ხალხმა შეუძლებელი შეძლო, ჩვენ კი შესაძლებელს ვერ ვიყენებთ; ისტორიული პარადოქსიც სწორედ ეს არის.

ამას წინათ ასეთი შინაარსის წერილი მივიღეთ რედაქციაში: „გაზეთებში ხშირად ქვეყნდება ეკონომისტებისა და სხვათა სტატიები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თაობაზე, მაგრამ არც ერთი ავტორი არ განმარტავს ზუსტად, თუ რას ნიშნავს საბაზრო ეკონომიკა და რა შეღავათს აძლევს იგი მოსახლეობას. ბათუმში, მაგალითად, საქონლის ხორცის ფასმა 200 მანეთს გადააჭარბა, ქათმისამ — 250 მანეთს, კარტოფილისამ — ორმოცდაათს, სხვა პროდუქტებიც გაძვირდა. ვის შეუძლია ასეთ ფასად სურსათის შეძენა? თუ ბაზარმა შეღავათი არ მოგვცა, რად გვინდა ასეთი ბაზარი? — კითხულობს ბათუმელი მოქალაქე ვლადიმერ გელავა.

ამ დონეზე ესმის ჩვენს ხალხს ბაზარი, მას ის მამა და მარჩენალი კომუნისტური პარტიის მორიგი ექსპერიმენტი ჰგონია, რომელიც, რაწამს „ხალხი უარს იტყვის", ან გენერალური მდივანი შეიცვლება, მაშინვე მივიწყდება ყველას და ცხოვრება თავის „გაკვალულ, საამურ" კალაპოტში ჩადგება კვლავინდებურად. მაგრამ საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ბაზარი ჩვენი მომავალია და მას ველარსად გავექცევით...

* * *

ჩვენი ეკონომისტები თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სხვა სფეროს წარმომადგენლები ხშირად კაპიტალიზმს ზედმეტად აფეტიშებენ, — ეს ყველაზე „ბუნებრივი, ყველაზე ნორმალური ეკონომიკური სისტემა არისო", — აცხადებენ: „სოციალიზმის" ხსენებაზე თავს გაგიპობენ. თუმცა ბევრ მათგანს ჯერაც ვერ გაურჩევია ერთმანეთისგან სოციალიზმი და კომუნიზმი, არადა, მათ შორის ძალიან ბევრი თვისებრივი განსხვავებაა.

მართალს ვიტყვი

ერთი ცხოვრების დონეა, კეთილდღეობაა, სიმდიდრეა, თანასწორობაა, მეორე კი — ფეტიში, სიყალბე, ილუზიაა.

— ისტორიული პარადოქსი ის არის, რომ ჩვენ, ეტყობა, შევდივართ ისეთ პერიოდში, რომელსაც არა დროებითი, არამედ სტაბილური და ძირეული მიზეზების გამო მზარდი სოციალიზმის ნიშნები ექნება, — აცხადებს ფრანგი მიმომხილველი ანდრე შამბრო.

ამ აზრის განსამტკიცებლად იგი წერს: ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა, რომ მის არენაზე მოქმედი ეკონომიკური პარტნიორები თითქმის თანაბარი წონით კატეგორიისა იყვნენ. დღეს კი ასეთი სიტუაცია არ არის. „მესამე" და „მეოთხე" სამყაროს ქვეყნების უმეტესობა, აგრეთვე ძველი კომუნისტური ქვეყნები, უსახსრონი და უსახონი არიან. ამიტომ მდიდარი სახელმწიფოები იძულებული ხდებიან, მისცენ მათ კრედიტები, სუბსიდიები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ყოველთვის როდი უბრუნდებათ. ასეთი მდგომარეობა მეტყველებს, რომ ჩვენ ფაქტობრივად საერთაშორისო ეკონომიკური დახმარების პირობებში ვცხოვრობთ და ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყნის სენსაციურმა აღორძინებამ ილუზიები არ უნდა წარმოშვას. „მესამე" და „მეოთხე" სამყაროს ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობა ყოველწლიურად 100 მილიონით იზრდება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ შეუძლიათ მათსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის მზარდი ეკონომიკური და სოციალური უთანაბრობის შეჩერება. ამით აიხსნება თითქმის ყველა ამ ქვეყანაში რელიგიური ინტეგრიზმის, დასავლეთითა და იაპონიით აღტაცებისა და... სიძულვილის აღორძინება; ჩვენ ფრთხილად ვნიღბავთ ამას ტერმინით — „ჩრდილოეთი — სამხრეთი". თუკი ამ პრობლემას გადაწყვეტას კლასიკური კაპიტალიზმის ნებას მივანდობთ, მაშინ ჩრდილოეთი ასე თუ ისე დაამთავრებს იმით, რომ აღიგვება პირისაგან მიწისა.

მეორე მხრივ, კაპიტალიზმს აქვს მრავალი პრობლემა და სიძნელე უზარმაზარ ქალაქ-კონგლომერატებში. ნიუ-იორკსა და ტოკიოში, მანჩესტერსა და კინშასაში, მეხიკოსა და კალკუტაში, ჩვენთან, პარიზშიც კი, ნარკომანიის, უმუშევრობის, დამნაშავეობის, სიღარიბისა და სიძულვილის ფონზე იფურჩქნება ძალმომრეობა. ყველაზე აყვავებულ ქვეყნებშიც კი ყალიბდება განსხვავებული დონის საზოგადოებები, ამრიგად, კაპიტალიზმმა ცხადყო, რომ მას შესანიშნავად შეუძლია ხიდებისა და ავტოსტრადების, სახლებისა და სუპერმარკეტების მშენებლობა, მაგრამ არ შეუძლია მოიფიქროს და შექმნას ნორმალური პირობები ქალაქის ცხოვრებისათვის, პირიქით, წარმოშობს საშიშ სეგრეგაციას. როცა ტოკიოში ბანკები ბინის შეძენის მსურველებისათვის ასი წლით კრედიტის გასაცემად ემზადებიან, ეს ექსტრავაგანტური ჩანს, მაგრამ იმის ნიშანსაც იძლევა, რომ სისტემა ჭკუიდან იშლება.

მესამეც, ხვალინდელი დღის ყველაზე დიდი სიმდიდრეები აღარ შეიძლება დარჩეს მონოპოლიურ მფლობელობაში. ასეა საქმე ნავთობთან დაკავშირებით. ვერც ერთი ქვეყანა, ვერც მდიდარი და ვერც ღარიბი, ველარ შეეგუება იმას, რომ მარტო სადამ ჰუსეინი ფლობდეს პლანეტის „შავი ოქროს" მნიშვნელოვან მარაგს. ხვალ იგივე პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მიწასთან, ჰაერთან და მსოფლიო ოკეანესთან დაკავშირებითაც. ნიადაგის ეროზია, წყლისა და ატმოსფეროს გაჭუჭყიანება — ყველა ეს გლობალური პრობლემაა, რაც მხოლოდ გლობალურ დონეზე შეიძლება გადაიჭრას, თუმცა არაიშვიათად მოქმედებს კერძო კაპიტალის ინტერესებზეც. ამიტომ ამაზონის ტყეების განადგურება, რომელიც რამდენიმე ბრაზილიელი კაპიტალისტის გამდიდრების წყაროა, კატასტროფაა მთელი კაცობრიობისათვის. საბედნიეროდ, პლანეტის მეორე რეგიონში — ანტარქტიდაში ამჟამად სიმდიდრეების დაუმუშავებელი ექსპლუატაციის წინააღმდეგ გაჩაღებულია გრანდიოზული კამპანია. უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ კაპიტალიზმი ჩვენი პატრონი კი არ არის, არამედ პროგრესის მხოლოდ ერთი ინსტრუმენტთაგანია. ის შეუცვლელია ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისათვის, მაგრამ სხვა მხრივ არაეფექტურია. მაგალითად, არ შეუძლია პიროვნების სრულყოფილი ჩაბმა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, არ შეუძლია შეაჩეროს ნგრევა.

— ვერაფერს დავამატებ, საყურადღებო და გასათვალისწინებელი მოსაზრებებია.

* * *

დოლარი 400 მანეთია.

კარაქი — 350, შაქარი — 220, პური — 25-30...

ბენზინი თბილისში 100-120 მანეთი ღირს, ბათუმში — 150-200.

რამდენ ფინანსისტ-ეკონომისტს ვესაუბრე, ინფლაციის კონკრეტული ციფრი ვერც ერთმა ვერ დამისახელა. რას დამისახელებდნენ, როცა საქონელი ერთგან ერთი ღირს, მეორეგან — მეორე... ისე დამამშვიდეს, ჰიპერინფლაცია ჯერ შორსაა, აი ნახავთ, მალე ჩვენზე მდიდარი არავინ იქნებაო! — დიდება მოთმინებასა!... თუმცა მანეთი გაუგონარი ტემპით უფასურდება; „კერძო ეკონომისტების" დაკვირვებით, მანეთის მსყიდველობითი უნარი ყოველთვიურად 25-30 პროცენტით მცირდება. ჰიპერინფლაციაა ეს, აბა, რა არის?!

რუსეთში ხელფასების ახალი მომატება გამოცხადდა. ეს კვლავ „დაარტყამს" ჩვენს ისედაც დაბალხელფასიან, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. — გამოსავალი აღარ არის? — იკითხა ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა. — როგორ არ არის, მაგრამ ხსნა გზისა, ასეთი გვერგო ჩვენ უბედურთა, ქალბატონო, — ჩააპერიფრაზა ილიას ცნობილი სტრიქონები ახალგაზრდა ნიჰილისტმა.

* * *

ერთი ჭკვიანი რუსი ეკონომისტი ამბობს: ბაზარი ბირთვული რეაქციაა, რომლის სწორად, უშეცდომოდ წარმართვა გამარჯვება და სიკეთეა, რაიმე უზუსტობისა და შეცდომის დაშვება კი — ჩერნობილიო.

საუბედუროდ, ჩვენი ბაზარი, ჯერჯერობით, „ჩერნობილი" აღმოჩნდა.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434

XI